

საქართველოს მოამბე

№ 11

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

აკადემიკოსი მარტი და მისი მანირდაზიარები ჩვენ-
ში—ალაროდელისა; ჩვენ და ცხოვრება—ფ.
გოგიჩაიშვილისა; ესაღმუნე—ა. შანშიაშვი-
ლისა; ფინლანდია—გ. გვაზავასი; * * *—შ.
ამირეჯიბისა; მ. სთაროვი-აფაშიძისა—ნ. ყ-
ნისა; რედაქტორის ხრიკი—ილ. ელფეთერიძი-
სა; ცხოვრება, რამანი—მოპასანისა;

10 იანვარი

კვირეული საზოგადოებრივი, სამეც. და სალიტ. ჟურნალი

1910 წ.

აკადემიკოსი ნ. მარტი და მისი მოპასანის- რანი ჩვენში

დიდი აურ-ზაური გამოიწვია ამ უკანასკნელად
ბ-ნ გ. გვაზავას წერილმა აკადემიკოს ნ. მარტის შე-
სახებ. ქართულმა, რუსულმა და სომხურმა პრესამ
ხმა ამოიღო და თვისი აღშფოთება გამოსთქვა ბ-ნ გ.
გვაზავას წერილის წინააღმდეგ.

მაგრამ უბედურობა ის არის, რომ გარდა გა-
ზეთ „დროებისა“ არავის არ ამოუღია გულ-წრფე-
ლად ხმა. რუსული პრესა იმან კი არ აღშფო-
თა, რომ მარტი უმართებულად მოეპყრნენ, არა-
მედ იმან გაახარა, რომ ბ-ნმა გ. გვაზავამ „მოიტეხა
კისერი“. სომხურ პრესასზედ არას ვიტყვი, რად-
განაც სომხური არ ვიცით და არ ვადევნებთ თვალ-
ყურს სომხურ პრესასა. ხოლო ქართულმა პრეს-
სამ გულ-წრფელად იგრძნო ტკივილი და სრულიად
გულ-წრფელი წერილებიც დასტამბა, რომელიც
გ. გვაზავას პიროვნების წინააღმდეგ კი არ იყო
მიმართული, არამედ იმ მართლაც ყოვლად
საზიზღარ მიმართულების წინააღმდეგ, რომელ-
საც ჩვენში ფეხი აქვს მოკიდებული და რომ-
ელმაც ბ-ნი გ. გვაზავა, როგორც უბრალო მკით-
ხველი, პირდაპირ შემთხვევით შეიყვანა შეცდო-
მაში. ასე მსჯელობდა, და სამართლიანადაც, მაგა-
ლითად, ბ-ნი კიტა აბაშიძე „დროებაში“ დაბეჭდილ
თავის წერილში. ავტორმა კარგათ იცის, სად არის
სათავე გ. გვაზავას პირველ წერილის უმართებუ-
ლობისა.

ჩვენ არსებითად არ შევეხებით არც ბატონ
გ. გვაზავას, არც მოსე ჯანაშვილსა და მით უმე-
ტეს აკადემიკოსს ნიკოლოზ მარტი. ამ უკანასკნე-
ლის კრიტიკა რომ შესძლოს კაცმა, საჭიროა მის
თხზულებათა არა მარტო წაკითხვა, არამედ შეს-
წავლა, ამას კი მრავალი ენის ცოდნა და სპეცია-
ლური მომზადება უნდა. ჩვენც ამისათვის ძალა არ
შეგვწევს. იგი სპეციალისტთა საქმეა, და ალბათ

ოდესმე კიდევ დააფასებენ ღირსეულად ამ დიდი
მეცნიერის ნაწარმოებსა, მხოლოდ აი რა გვაქვს
სათქმელი. მართლაც უბედურობაა, რომ დღეს მარ-
ტი მარტი იკვლევს მთელს დედა-მიწის ზურგზედ
სომხურსა და ქართულს ლიტერატურას ერთად.
იგი მას აღარებს, იკვლევს მათ ურთიერთზედ
გავლენას, სცდილობს კიდევ შეჭქმნას ერთობა
ქართულისა და სომხურის ფილოლოგიისა. რასა-
კვირველია ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია სას-
წორი ან სომხისაკენ არ ვადიხაროს და ან ქართვე-
ლისაკენ. თუ სომხისაკენ ვადიხარა, ქართველები
დარჩებიან უკმაყოფილონი, ქართველისაკენ,—
სომხები ასტეხენ აურ-ზაურს. ან თუ რომელიმე
დამყაყებელი და ძვალ-რბილში გამჯდარი შეცდო-
მა გამოააშკარავა მეცნიერმა, მაშინვე ყოვლის მხრი-
დან ასტეხენ განგაშს. ასეთია ეროვნული თავ-მოყ-
ვარეობა. თვითონ მარტის აზრით ასეთი თავმოყვა-
რეობა მეტი აქვთ ხოლმე ყოველთვის პატარა ერებს,
და აბა ერთი იმავე მარტისა ჰკითხეთ,—ვის უფრო
ბევრი აქვს ეს თავმოყვარეობა,—სომხებსა თუ ქარ-
თვლებსა,—დარწმუნებული ვარ მარტი არ იტყ-
ვის—ქართველებსაო. მარტის აზრით მთელს სომ-
ხურს ძველს ლიტერატურას მძლავრი ბეჭედი აზის
ასეთის უკიდურესის ნაციონალიზმისა, და რამდენი
შრომა დასჭირვებია ამ მეცნიერს, რომ ჭეშმარი-
ტება ეხილა ხოლმე ნაციონალიზმისაგან დამახინჯე-
ბულ სომხურ დოკუმენტებში. და თქვენა გგონიათ,
—სომხები ძლიერ მადლობენ იყვენენ მარტის
მიერ ჭეშმარიტების ასეთის სიყვარულისათვის?—
სრულიად არა. ჩვენ არ ვადევნებთ თვალ-ყურს სომ-
ხურ ლიტერატურასა, თორემ ვნახავდით, რომ
მარტი მათთან პოლემიკა ხშირად უხდება. თვითო-
ეულ იმის თხზულების ტექსტში ან სხოლიოში
მოიპოვება მძლავრი ტირადა რომელიმე სომხის პატ-
რიოტის მეცნიერულ პრეტენზიების წინააღმდეგ.
ასეა ქართულ პრესაშიაც, და კიდევ მეტად, რად-
განაც ნ. მარტი ქართველად ეგულება ყველას. არც
შეიძლება სხვანაირად იყოს, რადგანაც მარტი ცო-

ცხალ საგანს იკვლევს და მკვდარ წარსულსაც კი აცოცხლებს.

გარდა ამისა, მეცნიერი ღმერთი ხომ არ არის! იგი შესცდება ხშირად, თუ მუდამ კვლევა-ძიებაშია. არ შესცდება მხოლოდ ის, ვინც თავის დღეში არას იკვლევს „ვეფხისტყაოსნის“ შესებებ მარსს თავისი ჰიპოტეზა ჰქონდა, იგი არ გამართლდა, — ამით მეცნიერს არც უმეცრება და არც ლალატი არ შეეწამება. ამით მარსს შოთასთვის გვირგვინის მოხდა არ უნდოდა. ბ-ნმა ივ. ჯავახიშვილმა სულ გამოსტოვა წმ. ნინოს ამბავი თავის „ქართველ ერის ისტორიიდან“, რადგანაც წმ. ნინოს მოღვაწეობაზედ მეცნიერულის დანამდვილებით არა ითქმის რა, და მოდით აბა და ლალატი, ან ჩვენი ეროვნული დიდებისათვის გვირგვინის მოხდის სურვილი შესწამეთ ამ ფრთხილსა და სწორს მეცნიერსა და ყოვლად უმწიკვლო პიროვნებასა! არც მარსს მოუხდია გვირგვინი დიდებისა არც წმ. ნინოსთვის, არც რუსთველისათვის, არც ჩვენი წარსულისათვის. მას ჰიპოტეზები ჰქონდა და აქვს, როგორც ყოველ ნიქიერ მეცნიერსა, და როდესაც რომელიმე ჰიპოტეზა გამართლდება, მეცნიერიც თავის აზრს იცავს და უფლებაცა აქვს დაიცვას, როდესაც კი გამტყუნდება, იგი თვითვე აღიარებს თავის შეცდომასა და სხვა მხრით მოუვლის საგანსა. ნ. მარსს, მაგალითად, თავის დღეში არ უთქვამს წმ. გრიგოლი მოვიდა საქართველოში და გაანათლაო. მისი აზრით საქართველოში ქრისტიანობა ვრცელდებოდა თან და თან, სხვა და სხვა ქვეყნებიდან, სხვათა-შორის სომხეთიდანაც, ხოლო წმ. გრიგოლის მოღვაწეობის ამბავი იმავე მარსის აზრით არ არის უტყუარ ჭეშმარიტების მტკიცებელი, არამედ ლეგენდა, და მასაც მძლავრი ბეჭედი ასვია სომხური ნაციონალიზმისა. აგრეთვე მარსს თავის დღეში არ უთქვამს, რომ საქართველო სომხეთის ნაწილი იყო. მოსე ჯანაშვილი უწყრება მარსს, — უნდოდა მასალა გადმოალაგა უწმინდესი სინოდის წინაშე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაცვის დროსაო, და მას მარსისა კი არა, არამედ მარსის მიერ მოყვანილი სხვისი სიტყვები მოჰყავს: „საქართველო — ადგილია სომხეთში, **ბერძნულის მსგავს ენით**. ჰყავს მეფუკა, რომელიც ყაენს ემორჩილებაო“. — აბა მარსი, რომელიმაც უდიდესი ენერგია ქართულ ენის კვლევას მონდომა, იმას იტყოდა, რომ ქართული ენა ბერძნულის მსგავსიაო! სხვა რომ არა იყოს რა, ეს იქნებოდა უცნაური!..

საერთოდ ჩვენ მხოლოდ ერთი ფაქტი გვაქვს მხედველობაში: თვით ნამოქმედარი ნ. მარსისა. თავი დავანებოთ მის ჰიპოტეზას — ეს სპეციალისტ მეცნიერთა საქმეა და თვით შემომქმედ მეცნიერისა. ჩვენ თვალ-წინ არის აუარებელი ნაკვლევი დიდის მეცნიერისა: ქართული საერო ლიტერატურა მეთორმეტე საუკუნისა, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შემოქმედების გარჩევა, იპოლიტეს „ქება-

თა-ქება“, „წარტყვევანი იერუსალიმისა“, და სხვანი, — კვლევანი ორიგინალურ და ნათარგმნ ქართულ საერო და სასულიერო ლიტერატურულ ნაწარმოებთა. მზადდება „ცხოვრებაი გრიგოლ ხანძთელისაი“, „ვეფხისტყაოსანი“ და სხვანი. რომ მარსს არა, თავის დღეში ვერ წავიკითხავდით ვერც ორ ჩხრუხაძესა, ვერც იერუსალიმის წარტყვევანას, — რომელიც თუმცა თარგმანია, მაგრამ შედეგია ქართული ენის სისრულისა და მუსიკობისა; არ გვექნებოდა წარმოდგენა პეტრიწიზედ და სხვ. ვინ იცის აგრეთვე, რა ნათელს მოჰფენს ჩვენს აზრში სწორედ „ვეფხისტყაოსანის“ მარსის გამოკვლევა. მაგრამ რა არის ეს დიდი ღვაწლი შედარებით იმ უდიდეს ღვაწლთან, რომელიც ნ. მარსმა დასდვა თვით ქართული ენის წინაშე. მისი ქართული გრამმატიკა, როგორც ერთხმად აღიარებს ყველა მკოდნე და მსმენელი მარსისა, ერთი უმესანიშნავეს მეცნიერულ თხუზულებათაგანია საზოგადოდ, რომელიც ნათელსა ჰფენს თვით მსოფლიო ისტორიას. და კიდევ რა ღვაწლს დასდებს მეცნიერებასა ეს ახალ-გაზრდა მეცნიერი, როგორ გააბრწყინებს სწორედ ქართული ენისა და ლიტერატურის ღირსებასა და მნიშვნელობას, — ეს მომავლის საქმეა.

მხოლოდ ერთი რამ არის უბედურება ჩვენთვის, მკითხველთათვის. როგორც ზემოდა ვსთქვით, მარსი ერთად-ერთი მუშაობს ამ დარგში. ათი, ოცი მარსი რომ იყოს, ან თუ გინდ ორი მაინც, მაშინ ისინი ურთი-ერთის კრიტიკითა და შესწორებით რასაკვირველია უფრო ნათელ-ჰყოფდნენ თვით ჭეშმარიტებასაცა და ჩვენც უფრო ადვილად ვიხილავდით სიმართლესა. მაშინ, რასაკვირველია, უფრო გამოირკვეოდა ქართველთა ორიგინალობაცა და წამბაძველობაც. ერთს მეცნიერს კი, რაც თუ გინდ დიდი გენიოსი იყოს იგი, ყოველთვის შეუძლია შეცდომაცა და გატაცებაც და ამით ჭეშმარიტება რასაკვირველია ზარალობს. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა სხვა მეცნიერებათა დარგებში, რომ თითო-ორიოლა მეცნიერის მეტი არ იყოს და ლეგიონი მეცნიერთა არ განამტკიცებდეს ჭეშმარიტებას ურთი-ერთის კრიტიკითა და შესწორებითა.

ბოლოს, — ერთ შეცდომას სჩადიან ჩვენები, როდესაც მარსს ეკინკლავებიან. ჩვენ გვინდა რომ მარსისათვის ქართული ენა და ლიტერატურა მართო ობიექტი კი არ იყოს კვლევისა, არამედ მისი სიყვარულის საგანიც. ჩვენი სურვილია, მარსის ფსიხიკაში იყოს ჩაქსოვილი ყოველი ქართული სიტყვა, ძველ პერგამენტზედ წვალებით ამოკითხული, ყოველი წვრილმანი ქართველის წარსული ცხოვრებისა. ჩვენი ნატვრაა, მარსმა მეცნიერულ ობიექტივობას ეროვნული გრძობაც ზედ დაართოს და ამ ცეცხლით განაცხოველოს თავისი კვლევანი. რასაკვირველია არა ლალატი ჭეშმარიტებისა, — არამედ ამ ორი თვისების ბუნებრივი შეერთება გვენატრება



მარრის სულში. და რადგანაც ქართველებზედ სომეხთა გავლენას იგი თითქოს აქარბებსო ბევრის თვალში, ამიტომ იგი სომხური ეროვნული გრძობით გვეგონია გატაცებული! მაგრამ ეს შემცდარი აზრია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ შეიძლება თვით მეცნიერება შეიქმნეს ადამიანისათვის სიყვარულის საგანიც და ამორჩეულ საგანს იგი ისეთის გატაცებით ეტრფოდეს, რომ ყოველისფერს იხილავდეს თავისი საყვარელი მეცნიერების სპეციალური თვალთახედვით. ბევრია ასეთი მაგალითები მეცნიერთა შორის, განსაკუთრებით ისტორიკოსთა და სიძველეთა მკვლევართა შორის. შეიძლება მარრი, როგორც არმენისტი, გაიტაცა არმენოლოგიამ, როგორც მეცნიერი, და გადააქარბა, მაგრამ ეს მის სომხობასა და ქართველების მტრობას სრულიადაც არ მოასწავებს, მით უმეტეს, რომ ის ძველი სომხები, რომლებითაც მარრი გატაცებულია, თვით მარრისავე აზრით აღარ არსებობენ, ის ძველი ქართველები კი, რომელთაც მარრი უფრო წამბაძველობას აწერს, ვიდრე შემოქმედებას სომხებთან შედარებით, სომხებთანვე შედარებით დღესაც არსებობენ, და მარრიც ნახევრად მათი შთამომავლობისაა. მეორე, — მარრს ჩვენ ვერ მოვთხოვთ, როგორც კერძო ადამიანს, ქართველ პატრიოტობას, და ისეთ პატრიოტობას, რომ მან მეცნიერული ქეშმარიტებაც მსვერპლად შესწიროს მას. ვინ იცის, იქნებ მას მეცნიერება უფრო უყვარდეს სომხებზედაც და ქართველებზედაც. სხვა არა იყოს რა, იგი მედიდურ შოტლანდიის შვილია, და რა უფლებით უნდა მოვსთხოვოთ მას უარ-ჰყოს თავისი ნახევარი არსება, და თავისი პიროვნება ისეთ ქართველ ნაციონალისტად აღიაროს, რომ ამ ნაციონალიზმით იხელ-მძღვანელოს მეცნიერებაშიაც.

მომიტყვეთ, თუ ეს სიტყვები კერძო ადამიანის სულში ხელის ფათური გამოვიდა, მაგრამ რასაც ვგრძნობ, იმას აღვიარებ გულ-წრფელად, და მგონი ღრთა, ბოლო მოეღოს საუკუნოდ იმ-გვარ ლაპარაკს, რომელიც კაი ხანია სწარმოებს მარრის ირგვლივ, თუ ვისმეს რამე სათქმელი აქვს, — მეცნიერული კრიტიკა და არა ჯანაშვილისებურ კანტი-კუნტ სათუო შენიშვნათა შეხანხვლათა საჭირო, თორემ ქართველობა და ისეთი კაცის ქართველობა, რომელიც შთამამავლობითაც მგონი ქართველებზედ ნაკლებ ხალხს არ ეკუთვნის, — რა შუაშია მეცნიერებაში. ჩვენ იმისიც უდიდესი მადლობელი უნდა ვიყოთ, რაც მარრმა თავისი დაუღალავი შრომით ღვაწლი დასდო ქართველებსა როგორც სიყრმეში, ისე მაშინ, როცა უდიდესი მეცნიერი შეიქმნა,

ალაროდელი

ჩვენ და ცხოვრება

ინტელიგენცია და სახალხო მეურნეობა.

ჩვენს ცხოვრებაში, ბევრ სხვა საკვირველებასთან, ერთი საკვირველება ისიც არის, რომ ჩვენ, ქართველები, რაც უფრო წინ მივდივართ სწავლა-განათლებით, მით უფრო უკან ვიწვეთ, საეკონომიო ბარაქიანობითა და ნივთიერის კულტურით. სხვაგან, სხვა ხალხებში, ასეთი ამბავი შეუძლებელი და წარმოუგენელია, — იქ სწავლა-განათლების გავრცელებას ყოველთვის შედეგად მოსდევს ეკონომიურ ცხოვრების გაღვივება და ნივთიერ კულტურის გაძლიერება, — მაგრამ ჩვენში ეს — ასე ვთქვათ — ზოგადი კანონიც არ მართლდება და აქსიომატ ტყუილი გამოდის.

ეს საკვირველება იმით აიხსნება, რომ სხვა ხალხებს არა აქვთ ჩვენსავეთ ცალმხრივი და პრაქტიკულ მოსაზრებას მოკლებული მიმართულება სწავლა-ქანათლების საქმეში. თვით სწავლა-განათლების ორგანიზაცია შეგუებული და შეწყობილია ხალხის როგორც ნივთიერ, ისე გონებრივისა და ზნეობრივ კულტურის საჭიროებასთან და ამიტომაც ნასწავლ ხალხის გამრავლება იქ მარტოოდენ „მწიგნობართა“ და „კალმოსანთა“ გამრავლებას კი არ მოასწავებს, არამედ საეკონომიო ასპარეზისთვის ახალ პროგრესიულ ძალის შემატებასაც ნიშნავს. ჩვენ კი სრულიად ცალმხრივი წარმოდგენა გვაქვს სწავლა-განათლებაზე; ჩვენ ისეთ სწავლასა და სასწავლებელს ვეტრფით, რომელიც თანამედროვე სააღმზრდელო წარმოებისთვის ძალას არ გვატებს და, პირიქით, — თუ საეკონომიო საზომით გავშინჯავთ, — სახალხო მეურნეობისთვის მხოლოდ პარაზიტებს გვიზრდის.

უეჭველია, ეს აზრი არა ერთსა და ორს ქართველ მკითხველს ეუცხოვება. ჩვენმა ერთგვარი კულტია შექმნილი ინტელიგენციის მიმართ. რაღაც ისეთ თილისმად გვაქვს მიჩნეული „ზოგადი“ სწავლა და „ენციკლოპედიური“ ცოდნა, რომ რაგვარი საქმეც უნდა წარმოსდგეს ჩვენში, ყველაფრის ოსტატად და მომგვარებლად ინტელიგენციას დავასახელებთ ხოლმე. მეტად ძნელია ჩვენში იმ აზრის გავრცელება, რომ ის მწიგნობრული სწავლა, რომლისთვისაც ჩვენ წლებზე ფეხს ვიდგამთ, ნამდვილად არა თუ გამოსადეგი, — პირიქით, მავნებელი და ხელის შემშლელია პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობაში.

ამ მავნებლობის მიზეზია სასწავლებლის მხრით: ა) „მწიგნობრული“ ხასიათი სწავლებისა, ბ) მხოლოდ სწავლება და არა აღზრდა მოსწავლეთა და გ) პრაქტიკულ საქმიანობისთვის შეუფერებელ სულიერ მიდრეკილების განვითარება ახალგაზრდობაში. როგორც ყველამ იცის, სწავლა-აღზრდის და ნიშნულბაა ადამიანის გონებრივისა და ზნეობრივ კულტურის განვითარება. თანამედროვე სასწავლებე-



ლი ზნეობრივ კულტურას, ე. ი. აღზრდას, სრულიად ლიად არ აქცევს ყურადღებას, ხოლო გონების „განათლების“ მხრით მარტოოდენ გონების ერთადერთ ნიჭს—მეხსიერებას—ავითარებს. დამოუკიდებელი აზროვნება, მსჯელობა, დაკვირვება, მეთოდის შეთვისება და სხვ.—ყველა ამ მხარეების განვითარება ახალ-თაობაში სასწავლებლის მხრით უყურადღებოდ არის დატოვებული.

„მთელი სწავლება ჩვენს სასწავლებლებში—ამბობს ერთი ცნობილი მეცნიერი—სახელმძღვანელოებისა და კარნახით დაწერილის დაზვიანებაზე არის დამყარებული. ერთმა გიმნაზიის მასწავლებელმა გადამოცა: ძლივს-ძლივობით ვაგებდე თაოსნობა გამომეჩინა და მოწაფეებისთვის ბოტანიკის სწავლება მცენარეთა სახელების გაზვიანებით კი არ დამეწყო, არამედ თვით მცენარეების ჩვენებითა და გაშინჯვითა. ყველა სხვა მეცნიერებასაც—ფიზიკას, ქიმიას და სხვა—ისევე დაზვიანებით ასწავლიან ჩვენს სასწავლებლებში. მართალია, ინსტრუმენტებიც აქვთ, მაგრამ ამ ინსტრუმენტებს უფრო აჩვენებენ ხოლმე მოსწავლეებს, ვიდრე ახმარებენ, და ამასაც მხოლოდ იმიტომ სჩადიან, რომ ცოტა მაინც დაუთმონ ექსპერიმენტალურ მეთოდს, რომელსაც ასე არ სწყალობს უნივერსიტეტი, თუმცა პროფესორების სიტყვით—თეორიაში—მუდამ ამ მეთოდის ქებაში არიან. ამიტომაც ჩვენში სრულიად ჩაპქრა გემო და მისწრაფება მეცნიერულ კვლევა-ძიებისადმი. მოსწავლე იზვიანებს თავიდან ბოლომდის სქელ სახელმძღვანელოებს; ეს გაზვიანება მას საშუალებას აძლევს დიპლომი მიიღოს, ადგილი იშოვნოს, პროფესორიც გახდეს, მაგრამ იგი ვერასდროს ვერ შესძლებს რამე მეცნიერულ კვლევა-ძიებას შეუდგეს. ორიგინალობისა და ინიციატივის ყოველი ნასახი მასში სამუდამოდ ჩამქრალი არის.

„მაგრამ უებ დაზვიანებულს გონება მალე ივიწყებს, და მოწაფეებსაც, რამდენსამე თვეში სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ სრულიად ავიწყდებათ, რაც უსწავლიათ. იმათ, რომლებმაც ეგზამენის დღეს სავსებით იცოდნენ სასანიდების გენეალოგია და გეომეტრიის ყველა კანონები, რამდენისამე ხნის შემდეგ უბრალო ამოცანის გაკეთებაც კი აღარ შეუძლიანთ“

უეჭველია, სწავლების აღნიშნულ სისტემას თვალსაჩინო დამაბრკოლებელი შედეგი მოსდევს პრაქტიკულ საქმიანობისათვის. მაგრამ ეს საკითხი უფრო პედაგოგიის ფარგალს ეკუთვნის და ამ ჟამად ჩვენი წერილის სავანს მაინც და მაინც არ შეეხება.

უფრო მნიშვნელოვანია ახლანდელ სასწავლებლის ნაკლი, რომელიც აღზრდის უყურადღებოდ დატოვებაში გამოიხატება. არც ერთ იმ მორალურ თვისებას, რომელიც სამეურნეო ასპარეზზე წარმატებისა და ნაყოფიერობის აუცილებელი პი-

რობა არის, არც გიმნაზია და არც უნივერსიტეტი არ ფურჩქნის და არ ანვითარებს. ეს ფრიად საჭირო თვისებებია: ნიჭი თაოსნობისა, მაგარი ნება და მტკიცე ენერჯია. და აბა რა თაოსნობა უნდა ისწავლოს ახალგაზრდა სასწავლებელში, სადაც მას, სახელმძღვანელოს დაზვიანების გარეშე, არავითარი დამოუკიდებელი ვარჯიშობა არ მოეთხოვება, ან რა ნება და ენერჯია უნდა შეიმუშაოს, როცა ამისთვის მის პიროვნებას, გარდა საეჭაო მენიო ზვიანობისა არავითარი მასალა არ ეძლევა?

ამიტომ ჩვენ წინდაწინვე შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ვერც ერთი ქართველი ახალგაზრდა, რომელიც გიმნაზიისა ან უნივერსიტეტს ასრულებს, პრაქტიკულ საქმიანობას ხელს ვერ მოაკიდებს და სააღებმიცემო სამეურნეო საქმეებში ვერ ჩაებმის. აქ მას ის ცოდნა, რაც წიგნებში ამოუკითხავს, ძალიან მცირედ გამოადგება, ხოლო ის რისკი და წინდაწინვე მერმისის გამოურკვევლობა, რომელიც აღებმიცემობას ახლავს, მის სუსტსა და მხდალ ინდივიდუალობას საფრთხობელად ეჩვენება. იგი ისეა აღზრდილი, რომ ყველაფერი წიგნში უნდა ეძიოს; აღებმიცემობა კი მოითხოვს ადამიანისაგან დაკვირვებას, პრაქტიკულად მოაზრე გონებას, გამჭრიახობას, თაოსნობისა და შემოქმედების უნარს, ოცნების უარყოფას და ამის სამაგიეროდ მუდამ ჟამს რეალურ მოთხოვნილებებისთვის ანგარიშის გაწევის. სასწავლებელში აუარებელ სხვა და სხვა მეცნიერებათა ნაფლეთების ზვიანობის დროს მისი გონება პეველასავით ფართახლსა და წარმოუდგენელ დაფანტულობას დაეჩვივა; აქ კი, სააღებმიცემო წარმოებაში, პირიქით, ყოველთვის საჭიროა გონების კონცენტრაცია და თითვეულ საქმის მთელი სიგრძისიგანით აწონ-გაზომვა, სრულის ყურადღებით გაშინჯვა და შედეგის გათვალისწინება. ცხადია, იმ გვარ აღზრდისა და განათლების კაცი, როგორიც ჩვენი ინტელიგენცია, პრაქტიკულ საქმეში ძალიან სუსტი და მდარე აღმოჩნდება. იგი აღებმიცემობის კაცად ვერ გადაიქცევა.

და არც გადაიქცევა, რადგან ამას არსებითად მისი სულიერი მდგომარეობაც არ ურიგდება. მთელი 25 წლის განმავლობაში, თუ მეტი არა, მოსწავლე ახალგაზრდა მოზორებუღია ყველა იმ გვარ საქმეს, რომელსაც სამეურნეო ხასიათი აქვს, ამ ხნის განმავლობაში იგი ასე თუ ისე გონების კულტს ემსახურება და ითვისებს იმგვარ გემოვნებასა და შინაგან მიდრეკილებას, რომელიც სამეურნეო საქმიანობის „პროზას“ არ ეგუება. ექვს გარეშეა, სააღებმიცემო პრაქტიკულ მოქმედებას არა აქვს ისე დიდი მორალური ღირებულება და მიმზიდველობა, როგორც მეცნიერებას და ხელოვნებას. და რა თქმა უნდა, ინტელიგენტსაც, რომელსაც ხელოვნებისა და მეცნიერულ თეორიების გემო გაგებუღი აქვს, ცხოვრებაში გული უფრო იმგვარ საქმისკენ



ექნება, სადაც მის გონებრივ ინტერესს შედარებით მეტი დაკმაყოფილება მიეცემა. ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ იმ შეხედულებას, რომელიც დაბალ ღირსებისად სთვლის სააღმშენებლო საქმიანობას, სასწავლებელი არა თუ არ ასუსტებს, — პირიქით, მწიგნობრულ სწავლების მეოხებით, რომელთანაც შეკავშირებული არაა ფიზიკური არც ვარჯიშობა (სპორტი), არც მუშაობა, უფრო აძლიერებს მოსწავლეს ახალგაზღვარებაში. ჩვენებური ინტელიგენტი სულითაც დაშორებულია პრაქტიკულ საქმიანობის ასპარეზს, რომელსაც იგი თავისთანა გონებრივ არისტოკრატისთვის არ სთვლის შესაფერად და ღირსეულად.

ერთის სიტყვით, საიდანაც უნდა მოვეუაროთ საკითხს, დასკვნა მაინც ერთი და იგივე რჩება: ჩვენ, ქართველები იმგვარ სწავლას ვაძლევთ ჩვენს ახალთაობას, რომ იგი დამოუკიდებელ სამეურნეო ასპარეზს სამუდამოდ შორდება, რადგან ამ ახალგაზღვრებას ამისთვის არ ეძლევა შესაფერი არც აღზრდა და არც გონებრივი მომზადება. ცხოვრებაში იმათ მხოლოდ სამსახური და ჯამაგირით არსებობა შეუძლიან და არა დამოუკიდებელი სააღმშენებლო საქმიანობა და სახალხო მეურნეობის გამდიდრება.

შედეგი ამისა ის არის, რომ ჩვენში ნივთიერი კულტურა ვერ ვითარდება და ეკონომიური დოვლათი არ გვემატება. ახალთაობას სისტემატიურად ვაშორებთ. საეკონომიო ასპარეზსა და იმავე დროს თითქო გვიკვირს კიდევ, რომ ცხოვრებაში ეკონომიურად ფხვს ვერ ვიკიდებთ და ნიადაგს ვერ ვიჭერთ. ეს არის ჩვენი მთავარი შეცდომა სწავლავანათლების საქმეში და დიდი დანაშაული ერის წინაშე.

შეიძლება ეს სიტყვა ზოგ მკითხველს ბევრს არას ეუბნება. და მართლაც, თითოეულ კერძო ადამიანს მის მოქმედებაში საზომად და სახელმძღვანელოდ ვერ დაუუსახავთ ერის ინტერესს ან სხვა რამ ამგვარ განყენებულ ცნებას. კერძო ადამიანის მოქმედებაში ხელმძღვანელი არის მისი საკუთარი სარგებლობა და არა განყენებული ცნება: „ერი“ „ხალხი“, „საზოგადოება“ და სხვა ამგვარი. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ შემთხვევაში „განყენებული“ და „კერძო“ სახეებით შეერთებულია და რაც საზარალოა ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და, მაშასადამე, ჩვენი ხალხოსნურ წარმატებისათვის, იგივე საზარალო და მავნებელია კერძოდ თითოეულ ქართველისათვისაც. იმ საშინელ შევიწროებაში, რომელსაც დღეს ჩვენ განვიცდით, ეს ისეთი ცხადი და ადვილად შესამჩნევი ამბავია, რომ თუ ამასაც აღარ ვხედავთ ჩვენი საქმე მართლა უიმედო და სრულიად წასული ყოფილა.


ღვინო არსად იყო და ტიკებს აღობდნენო, — ქართველ მშობლებსაც დღეს სწორედ ასე მოგვდის. ჩვენს შვილებს სამსახურისთვის ვამზადებთ და იმას

კი აღარ ვკითხულობთ, იშოვება თუ არა ეს სამსახური: თვითონ ჩვენ არა ვვაჭკვს არც ვაჭრობა, არც მრეწველობა, არც რაიმე საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომ სასამსახუროდ მომზადებული ხალხი გამოვიყვანოთ და დავაბინაოთ. ვისაც ადგილობრივი ვაჭრობა და მრეწველობა ხელში უჭირავს, იმათ თავისიანებიც ბლომად ჰყავთ და ჩვენები არ ესაჭიროებათ. ის დროც კარგა ხანია წავიდა, როცა ქართველებს სახელმწიფო სამსახურში ადგილებს აძლევდნენ. დღეს კი უბრალო გადამწერლის ადგილიც ქართველისთვის მოსპობილია სახელმწიფო დაწესებულებებში. ჩვენ ვიცით არა ერთი და ორი მაგალითი, რომ ახალგაზდა ქართველი, უნივერსიტეტში კურს-დასრულებული, რამდენსამე წელიწადს კანდიდატის ხარისხით, უჯამაგიროდ ემსახურება რუსულ კანცელარიას იმ იმედით, რომ როდისმე ხუთ-თუმნინი ადგილი მიიღოს სადმე რუსეთის შორეულ გუბერნიასში. და რაც შეეხება თავისუფალ პროფესიას (იურისტი, ექიმი), აქაც ქართველ ინტელიგენტის მდგომარეობა ვაგლახი და ჩათლახი არის, რადგანაც ჩვენში — დროა ვავიგოთ! — ეროვნული განკერძოება გახლავთ გამტკიცებული და ამიტომ ქართველი კლიენტი მარტოოდენ ქართველობა არის, ე. ი. ლატაკს ლატაკი ჰყავს აკიდებული.

ასეთ მდგომარეობაში ჩვენ მაინც თვები ავვიღვრია და ცხვრებივით ერთმანეთს იმავე სასწავლებლებისკენ მივერეკებით. უკვე არსებული გიმნაზიები რომ აღარ გვეყო ქალაქებში, ჩვენის ხარჯით ვიარსებთ დაბა-სოფლებში. და რით ვხელმძღვანელობთ ან რას ვფიქრობთ ამ დროს, ეს ერთმა ღმერთმა უწყის.

საჭიროა, რომ ღმერთმაც უწყოდეს, თუ რას ვფიქრობთ, ამიტომ რომ: ვფიქრობთ კი?..

ფ. გოგიჩაიშვილი.



ფსალმუნო.

(ვუძღვნი ცნუ შაკეთე-მეკობრეს და სამშობლოს მახინჯ შვილებს)

ჰე, რად აღიძრნენ წარმართნი ჩემზედ და რად გამრავლდნენ მაჭირვებელნი; რად აყაყანდნენ, რად ასისინდნენ მოზღვავებულნი ავ სიტყვათ მთქმელნი?

ვის უმზადებენ შერცხვენის გვირგვინს? ბოროტი სულსა რად შეიგუეს?

რად შეუყვარდათ ამაოება?

რად ეძიებენ მარად სიცრუეს?

ძენო კაცთანო! აღვილნო გესლით, ვიდრემდის ფიცხელ და გულ მრუდე ხართ?

*) ხნარცი — ორმოა მეტად ღრმა და ბნელი.

რისთვის დაადგეთ წმინდა სიმართლე,
 მრუშობის გზასა რისთვის ადგევხართ?
 განქრათ თქვენს პირსა ჭეშმარიტება
 და მოყვასს უთხრით ხნარცესა*) საზაერლს;
 წყევით, სიმწარით და ღია ზაკვით
 სავსე გაქვთ პირი, ჰგმობთ ყოველს ნათელს.
 შურმან შეიპყრო გული უწრვთნელი
 და ბილწ არიან გზანი სავალნი;
 ვაი საბრალთ და ამპარტავანთ!..
 იყვენს დადრეკილ უკეთურთ თვალნი.

* * *

ვერ დამეკვიდროთ მას მთასა მაღალს,
 ვერც დაგშენოთ მართლისა კარავს;
 შხამის ნეშტარი თქვენვე მოგიდნობთ
 და თვითვე შთახვალთ შერცხვენის საფლავს.
 აჰა დაიძრა და მსწრაფლ შეძრწუნდა
 ბუნაგი თქვენი და საფუძველი;
 აღსრულდა ჟამი და მოიწია
 მებსა გაწვიმებთ შავი ღრუბელი.
 ძლიერსა მფარველს შესძულეხართ,
 ავმეტყველთათვის აღარა ზრუნავს;
 ხოლო მართალი გულით მხურვალით
 განიმეორებს რომ „მანც ბრუნავს!“

ე. მანდილაძე



ფინლიანდია.

I

ფინლიანდია წარმოადგენს სრულ კონტრასტს საქართველოსთან შედარებით. ჩვენ გვიჭირავს სამხრეთი კუთხე, ჩვენ ბლომად გვაქვს მზისა სითბო და ნათელი, ჩვენ დიდებული ერი ვიყავით წინა აზიაში, ჩვენ ოცი საუკუნე ვიცავდით ჩვენს პოლიტიკურ თავისუფლებას, დავიცავით მიწა და რჯული შევქმენით დიდი ლიტერატურა, გავაღვიძეთ და ავაყვავეთ ეროვნული თვითშეგნება და—მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როცა გაიწია რუსეთის საზღვარმა—ჩვენ დაუვხვდით ჩრდილოეთის დიდებულს ერს, როგორც **ერი**. ჩვენ სოროში კი არა ვძვრებოდით დაფრთხალი და შეშინებული, როცა ისმოდა გრიალი მტრისა, როცა იღრუბლებოდა ცა შავი ღრუბლებით,—არა. იმ ღრუბლებში ხშირად გაანათებდა ხოლმე ელვა ჩვენი სახელისა, და გამძვინვარებულს მტერს უბნელებდა თვალებს მისი საშიში განათება. იგი სდგებოდა, ჩერდებოდა ხოლმე და იძულებული იყო დაეწყო ჩვენთან **მოლაპარაკება**.—აიღეთ რუსეთი. იმაში სხვადასხვა ხალხი ასამდე მანც დაითვლება, მაგრამ იმათ შორის არა მგონია ერის სახელი მიენიქოს ვისმე, გარ-

და ორის—სამისა; როცა რუსეთი წამოვიდა სამხრეთისკენ, უკრაინიდან მოყოლებული საქართველოს საზღვრებამდე, სად შესდგა იგი, სად და რომელ ერს, რომელ ქვეყანას დაუწყო მოლაპარაკება?! არსად, ყოველი ხალხი თუ ეროვნება მას გზას უთმობდა მოულაპარაკებლად, განუხილველად პირობებისა, განუსაზღვრელად უფლებებისა. მთელი ეს უშველებელი მანძილი, რომელიც წარმოადგენს რუსეთის სამხრეთ ნახევარს, თითქო იყო ვერანი ქვეყანა, სადაც არც კაცი იყო, არც ერი, არც რაიმე აზრი და შემეცნება. მხოლოდ საქართველოს ასდიოდა კულტურული სინათლე, მხოლოდ მის წინასაზღვრებში შესდგა დიდი რუსეთი, იმიტომ კი არა, რასაკვირველია, რომ შიში ჰქონდა მისი, არა,—იმიტომ რომ დაინახა **ერი**, დაინახა განვითარებული და მოწესრიგებული ორგანიზმი. საქართველოც დაუხვდა რუსეთს, როგორც **ერი**, როგორც თანასწორი პიროვნება რომელმაც ხმალი ქარქაშში ჩააგო და ღიმილით ხელი გაუწოდა. შეწყდა ხმლისა ბრჭყვიალი, მაგრამ ღიმილი, ზეადმართული შუბლი და თვალთა ბრწყინა შეულახველისა და უეჭველ ღირსებისა,—აი ის სიძვირფასენი, რომელნიც შერჩნენ მას. შეკრბებთ იგინი და დააწყეთ საერთაშორისო განწყობილების სასწორზე და თქვენ მიიღებთ ჩვენს ნაციონალურ განძს—საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულებას. იმ ერს, რომელსაც ასეთი განძი აქვს, ასეთი გასაოცარი საბუთი თავის ეროვნული უფლებებისა, იმ ერს, რა თქმა უნდა, ყოველთვის შეეძლო დაეცვა თავისი თავი და უფლებანი. თუ ეს აგრეარ მოხდა—ეს სხვა ანგარიშია, ამას სხვა მიზეზები აქვს...

ფინლიანდია?!

ვიმეორებ: სრული კონტრასტია-მეთქი. ჩვენ ყველაფერი გვქონდა, ვერაფერი მოვიხმარეთ და ყველაფერი დავკარგეთ. ფინლიანდიას კი—მცირედი ჰქონდა, მაგრამ შევქმნა ბევრი რამ და ყველაფერი მოიხმარა. ამ ქვეყანას უჭირავს ჩრდილოეთ-დასავლეთი კუთხე რუსეთის სახელმწიფოსი; ქვეყანა ცივია და სუსხიანი, მოკლებული მზის სითბოს და ნათელსა, მოფენილი ტბებით, ტყეებით და კლდეებით; ცა უფრო ხანი მოწყენილია და ბურუსით მოკული. მაგრამ სჩანს, რომ ამ მოწყენილი გარეგნობის ქვეშ სცემს ხოლმე დიადი ძალა ეროვნული სიცოცხლისა.

მისი ისტორია?!

სრულებით არა ჰვავს ჩვენსას. ფინლიანდიის ისტორია იწყება—როგორ გგონიათ?—1548 წლიდან. მე ის არ მინდა ვსთქვა, რომ ვითომ ფინლიანდია მანამდე არ არსებობდა, როგორც ქვეყანა. როგორც ქვეყანა, რასაკვირველია, ყოველთვის იყო, მაგრამ როგორც კულტურული მხარე, როგორც ერი, იგი შესამჩნევი გახდა ხოლოდ მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ზემოხსენებულ წელს



ეპისკოპოს მიხაილ აგრიკოლამ, ჩამომავლობით უბრალო მეთევზის შვილმა, გადასთარგმნა ფინურ ენაზე ლოცვანი, მერე ახალი აღთქმაც. ეს იყო პირველი თესლი, რომელმაც შემდეგ დიდი ნაყოფი მოიტანა: ფინური მწერლობა თანდათან აღორძინდა და ნაციონალურ მოძრაობამაც ფეხი მოიკიდა.

ფინლიანდია თავიდანვე თავისუფალი ქვეყანა არ იყო; იგი შეადგენდა შვეციის ნაწილს. ვთხოვ მკითხველს დაუკვირდეს ამ მომენტსა, რადგანაც ამას დიდი იურიდიული მნიშვნელობა აქვს. ფინლიანდიის ავტონომიის მტრები ეხლაც გაიძახიან, რომ ფინლიანდია რუსეთმა შეიარაღებულის ძალით მოსწყვიტა შვეციას და თვითონ შემოიერთაო 1809 წელს. მაშასადამე, — აქედან გამოჰყავთ დასკვნა, — ყოველი წესწყობილება და უფლებრივი განწყობილება რუსის იმპერიასთან დამოკიდებულია ამ უკანასკნელის თვითნებობაზე. რუსეთსაო — ამბობენ ეს ბატონები — არავითარი ხელშეკრულება არა აქვს ფინლიანდიასთან და შეუძლებელიც იყო რამე ხელშეკრულების დადება, ვინაიდან თვით ფინლიანდია არ იყო და არც არასოდეს ყოფილა ნაციონალური ერთეული, იგი იყო უბრალო ნაჭერი ან მოგლეჯილი ნაწილი სხვა ნაციონალურ ერთეულისა — შვეციისაო. ძალიან სურვილიც რომ ჰქონდა რუსეთსა, იგი ვერც კი შეიძლება ხელშეკრულების დადებას, ვინაიდან არ იყო, ისტორიულათ ვერ შექმნილა ის ეროვნული ორგანო, რომელსაც შეეძლო ქვეყნის წარმომადგენლობაო.

ეს ზემო-მოყვანილი მოსაზრება ფაქტიურად მართალია, იურიდიულად-კი — არა. მართალია, რომ ფინლიანდია ერთი ნაწილი იყო შვეციისა და თავისი დამოუკიდებლობა ან სუვერენიტეტი, რა თქმა უნდა, მას არა ჰქონდა. მართალია ისიც, რომ იგი რუსეთმა მოჰგლიჯა შეიარაღებულის ძალით და თვით შემოიერთა. მართალია აგრეთვე ისიც, რომ **ორ-მხაროვანი ე. ი.** ორივე მოპირდაპირე მხარეებისაგან ხელ-მოწერილი პირობა არ არსებობს რუსეთსა და ფინლიანდიის შორის. მოკლედ რომ ვსთქვათ, არ არის ისეთი პირობა, როგორც აქვს საქართველოს. მიუხედავად ამისა, ზემო აღნიშნული იურიდიული დასკვნა მაინც სიმართლეს მოკლებულია.

საქმე იმაშია, რომ ვალდებულების მიღება შესაძლებელია არა მარტო დაწერილი ხელშეკრულებით; თქმა არ უნდა, ამისთანა ხელ-შეკრულება უმაღლესი ფორმაა ყოველ უეჭვო იურიდიული მომენტისა, მაგრამ მაინც ერთმხაროვანი აღთქმა ან დაპირება, ხალხის წინაშე წარმოთქმული ან საქვეყნოდ აღიარებული, შეიცავს სრულს ვალდებულებას. მართალია, რუსეთმა შეიარაღებულის ძალით მოჰგლიჯა შვეციას და შემოიერთა ფინლიანდია, მაგრამ ამავე დროს მიიღო თუ არა რუსეთმა თავის

ვისთავზე რამე ვალდებულება? და თუ მიიღო, სად და როგორ, რომელ სიტყვასა ან მოქმედებაში გამოიხატა ეს აღთქმა ან დაპირება? — ეს არის კითხვა; აი პასუხიც.

II.

დიდმა ნაპოლეონმა ნება მისცა რუსეთს (1807 წ.) შემოეერთებინა ფინლიანდია. ეს ნებათვა, როგორც საიდუმლო შეთანხმება რუსეთის და საფრანგეთის შორის, გამოქვეყნებული არ იყო. შემდეგ, როცა შვეცია არ შემოუერთდა ეგრედ წოდებულ „საკონტინენტო კავშირს“ ინგლისის წინააღმდეგ, რუსეთმა ომი გამოუცხადა შვეციას (1808 წ.) და გააქანა თავისი ჯარი ფინლიანდიის საზღვრებისაკენ. მაშინ, 5/17 ივნისს 1808 წ., გამოვიდა პირველი მანიფესტი ფინლიანდიის შესახებ და იქ საქვეყნოდ აღიარებული იყო, რომ „ძველი წესწყობილება, ამ ქვეყანაში არსებული“ შეუცვლელად დარჩებაო. მართალია, მაშინ, როცა ეს მანიფესტი გამოვიდა, ომი ჯერ კიდევ გათავებული არ იყო, კიდევ არავინ არ იცოდა, თუ როგორ გადაწყდებოდა იგი, და ამ მანიფესტს უფრო ხალხის გადაბირების მიზანი ჰქონდა ვიდრე უფლებრივი კანონმდებლობისა, მაგრამ მაინც იმას თავის მნიშვნელობა აქვს. თუ კერძო ცხოვრებაში სიცრუე დამოტყუებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, აშკარაა, საერთაშორისო განწყობილებაც უნდა იყოს დამყარებული იმავე ზნეობრივ ნიადაგზე.

შემდეგ, თებერვალში 1809 წ., რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის ბრძანებით ქ. ბორგოში მოწვეულ იყვნენ ხალხის წარმომადგენლები — სეიმი. სეიმის გახსნის წინა დღეს გამოვიდა ახალი მანიფესტი, რომელშიაც გამოცხადებული იყო: „ნებითა ღვთისითა, შევედით-რა ფინლიანდიისა დიდისა სამთავროისა მფლობელობასა-შინა, ვსცანით ჩვენ სასიკეთოდ — ხელახლად დავამტკიცოთ და ექვის გარეშე ვყოთ რჯულისა, ძირითადი კანონები, უფლებასა და უზიარტესობისა, რომლითაც დღემდის სარგებლობდა ყოველი წოდება ამ სამთავროისა და მასში მცხოვრები ყოველი ქვეშევრდომი“.

მეორე დღეს, 16 მარტს 1809 წ. თვით იმპერატორი წარსდგა ფინლიანდიის სეიმის წინაშე და წარმოსთქვა სიტყვა ფრანგულ ენაზე შემდეგ შინაარსისა: „მე აღთქმა დამიდვია დავიცვა თქვენი კონსტიტუცია (votre constitution), თქვენი ძირითადი კანონები (lois fondamentales)! აი ეს თქვენი კრება ამტკიცებს აღთქმათა ჩემთა ასრულებასაო“.

აქედან აშკარაა, რომ აღთქმა და დაპირება საქმედ იქცა, ე. ი. უფლებამ მიიღო იურიდიული დამთავრება. შეიძლება აქაც სთქვან, და ამბობენ კიდევ, რომ მაშინ ჯერ კიდევ ომი არ იყო გათავებული და ფინლიანდიას, როგორც შვეციის ნა-

წილს, არ შეეძლო თავის თავად წარმოედგინა (იურიდიულად) უფლებათა სუბიექტითა. ეს მოსაზრებულ სიმართლეს მოკლებულია. მართალია, ფინლიანდია ნაწილი იყო შვეციისა, მაგრამ მაშინ, ესე იგი 1808—1809 წლებში, ფრიდრიხგების ხელშეკრულების დადებამდე (17 სექტემბერი 1809 წ.), იგი არ იყო ნაწილი შვეციისა, იგი არ იყო არც ნაწილი რუსეთისა, იგი თითონ იბადებოდა, როგორც სახელმწიფო. ეს ისეთი მომენტი იყო, როდესაც ეროვნული ზღვა მოძრაობს, ღელავს, როცა იგი არ უყურებს და არცა დასდევს წინასწარ კანონებით განსაზღვრულ შარა-გზას; იგი თვითონ მიდულს, თვითონ იკვლევს გზას, თვითონ ჰბადებს და ისვრის ხოლმე აქა-იქ თავის მეომრებს, თავის მეთაურებს. აი, ასეთი მამულის შეილება ბლომად იჩინეს მაშინ თავი. იგინი ნათლად ჰხედავდენ, რომ მხოლოდ თავის ძალ-ღონით ისეთი პატარა ხალხი, როგორც ფინები (მაშინ ორი მილიონიც არ იყო), ვერაფერს გააწყობს თავის ეროვნული ცხოვრების გასამაგრებლად. იგინი აშკარად ჰხედავდენ, რომ მხოლოდ დიდი სახელმწიფოების შეტაკებას, მხოლოდ საერთაშორისო განწყობილების დროებითს არევ-დარევას შეეძლო შეექმნა ის „ძალთა სრბოლა“, რომელიც ანგრევს ძველს ნიადაგს საერთაშორისო განწყობილებისას და ჰქმნის კიდევ ახალ სახელმწიფოებს. პეტერბურგი ამ ხანებში სავსე იყო ფინლიანდიის პატრიოტებით. ყოველ საზოგადოების წესებში შეხვდებოდით მათ. ისინი თითქმის გარს ეხვივნენ სამეფო ტახტს და შეჰქმნეს კიდევ ისეთი პოლიტიკის მიმართულება, ისეთი ატმოსფერა, რომ რუსის იმპერატორმა ინება თვითონ წაბრძანებულყო ბორგოში და გაეხსნა იქ სეიმი. თუ იმპერატორი აგრე მოიქცა, სჩანს, თვით კარგად ჰხედავდა, რომ ფინლიანდია იყო „რამე“ და ისეთი „რამე“, რომელთანაც საქირო იყო და შესაძლებელიც მოლაპარაკება და შეთანხმებით მორიგება.

მოკლედ რომ ვსთქვათ, ზემოდ მოყვანილი მანიფესტები შეადგენენ ხელშეკრულებას ფინლიანდიასთან და იმის ავტონომიის უფლებრივ საფუძველსა.

ყოველ ექვის გასაქარვებლად მოვიყვანოთ კიდევ რამოდენიმე მოსაზრება. ფინლიანდიას, როგორც შვეციის ნაწილს, რასაკვირველია, თავისი საკუთარი და კერძო კანონები არა ჰქონდა. ძირითადი კანონები ჰქონდა შვეციას, როგორც სახელმწიფოს. ეს კანონები იყვნენ „ფორმა მართველობისა“ 1772 წ. და „ოქმი ერთობის და მშვიდობიანობისა“ 1789 წ. ამ კანონების ძალით ფინლიანდიასაც, როგორც შვეციის პროვინციას, მინიჭებული ჰქონდა ადგილობრივი თვითმართველობა. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა სცნო, რომ არის ეს თვითმართველობა, თვითონ მოიწვია სეიმი სხვადასხვა საკანონმდებლო საკითხთა გადასაწყვეტად,

და იკისრა ქვეყნის წინაშე საშვილისშვილო ვალდებულება—დაიცვას ეს ძირითადი კანონი ფინლიანდიისა.

ეს აზრი უკედ არის გამოთქმული 9/21 თებერვლის 1816 წ.—მანიფესტში: „ჩვენ დავაწესეთ (ფინლიანდიაში) განსაკუთრებული მმართველობა, რომელსაც ეწოდების სამმართველო საბჭო და რომელიც უნდა შესდგებოდეს ჩამომავლობით ფინლიანდიელებისაგან; ეს საბჭო დღემდე განაგებდა სამოქალაქო ნაწილს ამ მხარეში და სწყვეტდა სამოსამართლო საქმეებს, როგორც უკანასკნელი ინსტანცია; ეს საბჭო არ არის დამოკიდებული არავითარ სხვა დაწესებულებაზე, ემორჩილება მხოლოდ კანონებს და ამ კანონებთან შეთანხმებულს ჩვენსავე სამონარქო ნებასა. „ეს მანიფესტი საინტერესოა იმითი, რომ აქ უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული ის აზრი, რომ ფინლიანდიას აქვს მინიჭებული არა მარტო სეიმი, როგორც კამონმდებელი კრებული, არამედ მმართველობაც განსაკუთრებული ე. ი. განკერძოებული საიმპერიო მართველობისაგან და შემდგარი მკვიდრი ფინლიანდიელებისაგანვე.

ბევრია კიდევ სხვა მანიფესტებიც და იურიდიული საბუთებიც. ყველასი ჩამოთვლა და განმარტება შორს წავგიყვანს და არც არის საქირო. ყველა ეს მომენტები ისტორიული საფეხურებია: იგინი უსათუოდ მიგვიყვანენ ხოლმე რუსეთის ძირითადი კანონების კარებთან. აი მეორე მუხლი ამ კანონებისა:

„ფინლიანდიის დიდსა სამთავროსა, რომელიც შეადგენს განუყოფელ ნაწილს რუსეთის სახელმწიფოისას, თავის შინაგან საქმეთა საწარმოებლათ აქვს თავისი დაწესებულებანი, საფუძველსა ზედა განსაკუთრებითი კანონმდებლობისა“.

ამ მუხლში სამი ელემენტი: 1) ექვის გარეშეა, რომ ფინლიანდია განუყოფელი ნაწილია რუსეთისა; 2) რომ მას აქვს საკუთარი დაწესებულებანი, და 3) რომ მის შესახებ არსებობს განსაკუთრებითი კანონმდებლობა. საქირო არის განვმარტოთ იურიდიული შინაარსი თითვეულ ამ ელემენტებისა. ამ განმარტებით, მე მეონია, უფრო თვალსაჩინოდ დაიხატება ის, თუ რა ხასიათის ურთიერთობა არსებობს რუსეთისა და ფინლიანდიას შორის და რა ნიადაგზე გამწვავდა ის ბრძოლა, რომელსაც ეხლა განიცდის ეს შესანიშნავი მხარე. ამაზე შემდეგ.

გ. გვაზავა



*
*
*

ტურფავ, ზღვაა შენი თვალი,
შიგ ნავარდობს ქარიშხალი;
მასხედ სკურავს ერთი გემი
და იმ გემზედ ფიქრი ჩემი.

ტურფავ, ზღვაა ფიქრი ჩემი,
მასზედ სცურავს ერთი გემი;
აჰ! გემზედ ზის ერთი ქალი
და ნაფარდობს ქარიშხალი.

მ. ამირეჯიბი.



მარიამ საფაროვი-აბაშიძისა.

(35 წლის სცენაზე მოღვაწეობის გამო.)

„ბრწყინვალე მზე“, „მოკაშკაშე ვარსკვლავი“, „ძვირფასი სამკაული ჩვენის სცენისა“ და სხვა და სხვა, აი ის სიტყვები, რომლებიც გაფანტული იყო ხოლმე თეატრის იმ დროის რეცენზიებში, როდესაც მარიამ საფაროვისა ჩვენს სცენაზე თამაშობდა.

და განა გადაჭარბებით ან მიდგომით იყო ეს ნათქვამი? განა მართლა ღირსი არ იყო მაკოს უზინჩო ნიჭი ასეთი ქება-დიდებასა? მოიგონონ მათ, ვინც არა ერთხელ დამტკბარა მისი ფრიალ ნიჭიერის, ხელოვნურისა და ცქრიალა თამაშობით ახალგაზრდა ქალების როლში, დაკვირვებული, შეგნებული და არა ნაკლებად ხელოვნური თამაშობით დრამატიულ როლებშიც-კი!

რამდენიმე წელიწადია რაც მარიამ საფაროვისა მოსწყდა სამშობლო სცენას. მას დააკლდა სმენა და ჩვენის თეატრის საუბედუროთ უნებურად ჩამოშორდა სცენას. მას აქეთ მყურებელს მგზავსი ჯერ არ უნახავს ჩვენ სცენაზე. მაკოს სცენის ჩამოშორება მოხდა ნელ-ნელა, თან და თანობით, ასე რომ მისი სცენისთვის სიკვდილი, ჩვენ, ქირისუფლებს, თითქო როგორღაც გაგვიადვილდა. ეს ასე ხდება ხოლმე ცხოვრებაში, როდესაც ადამიანი ძვირფას არსებას ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაჰკარგეს, მართალია, მაგრამ გაადვილება სხვა არის და სამუდამოთ მისი დავიწყება-კი—სულ სხვაა. სწორეთ ასეთს სამუდამოთ დავიწყებულს მიაგავს დღეს მარიამ საფაროვისა. თუ ეს ასე არ არის, მაშ რა მიზეზია, რომ ამდენი ხნის სცენაზე მისი სახელოვანი მოღვაწეობა, თუნდა რამდენიმე წლის გამოკლებითაც, თავის დროზე არაფრით აღნიშნული არ იყო? და აი მხოლოდ ეხლა, როდესაც ჩვენ ვიღღესასწა-

ულეთ იუბილეი ერთის ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ქალისა, ეს მეორე თითქო მაშინ გაგვახსენდა, როდესაც ის სცენაზე იუბილიარისადმი ტკბილ-ქართულიანი სიტყვით მიმართული დაინახეთ!

სიმართლე კი უნდა ვსთქვათ, რომ ეს გახსენება იყო მეტად ტკბილ-მწარი, გულწრფელი და ალტაცებული მოგონება მაკოს დამატკობელ თამაშობისა და გულიდან უნებურად ამოხეთქილი საყვედური ერთი ერთისადმი, რომ ჩვენი სცენის მშვენიება ასე უმადურათ გვყავდა მივიწყებული!..

ნუ თუ საზოგადოება იმას უნდა მოელოდეს, როდესაც მაკო არა თუ მარტო სცენას, უმადურ წუთისოფელსაც გამოეთხოვება და მხოლოდ მაშინ შევიკრიბებით მის გარშემო, რომ გვირგვინებითა და ქების სიტყვებით შევამკოთ მისი ცხედარი?

აქო და ის დასწულდა და უნებურად ჩამოშორდა თვის სათაყვანებელ სცენას, ორგვარად უნდა იყოს დასჯილი? მართალია, მწარეა ხოლმე ხვედრი საზოგადო მოღვაწისა, მაგრამ მარიამ საფაროვის ხვედრი კი ყოვლად უსამართლოა, უსამართლო ღვითთაც, ხალხითაც.

ვინც კი გაიხსენებს იმ შედარებით დიდებს, რომლებშიაც იყო მაკო თვისი ნიჭის გაფურჩქნის დროს, როდესაც ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელი უკმევდნენ მას გუნდრუკს და ასხავდნენ ქებათა-ქებას და ვისაც ეხლა უნახავს მის თვალთავან მდულარეთ გადმომსკლარი ცრემლი იმის გახსენებაზე, რომ ჯერაც ისევ სავსე ენერგიით და თამაშობის წყურვილით სამუდამოთ მოშორდა სცენას, ის ადვილათ გაიგებს თუ რა შფოთვის! განიცდის მისი სული.

და ისეთი საზოგადო მოღვაწის სულიერი ტანჯვის გარკვევა ჩვენის უმადურობით და უფრო კი დაუდევრობით, საპატიებელი არ არის. მარიამ საფაროვისა დღესაც კი ფრიალ სასარგებლო ადამიანია ჩვენის სცენისთვის. თუ როდისმე შეუმჩნევია მყურებელს და მოსწონებია ისტორიული კარგის ტანისამოსით გამოწყობილი რომელიმე არტისტი სცენაზე, იცოდეს, რომ ის არის ნაყოფი მაკოს დაუღალავი ხელის შრომისა და მისი საუცხოო გემოვნებისა.

ღიახ, მაკოს სცენაზე ვეღარ ვხედავთ საუბედუროთ, მაგრამ ის სცენის იქით სულ მუდამ ფუს-ფუსებს, ყველაფერს სიყვარულით დასტრიალებს, თვის გამოცდილებას უნებურად ავრცელებს არტისტთა შორის, სრულის თვისი არსებით უყვარს სცენა და ამ სიყვარულს მის ახლო ხილვით, მისთვის რითიმე შრომით რამდენადმე მაინც იკლავს.

მაგრამ გულს ნუ გაიტებს ჩვენი მაკო. დაუდევრობა მითხარი, თორემ ქართველი საზოგადოება არც ისე უმადურია, რომ იმისთანა მოღვაწე და თან ისეთი გულით საყვარელი არტისტი საჯაროთ დაფნის გვირგვინით არ დაავიკრავინოს.

რელიგიური ხრიკი.

(დასასრული)

ასეთი მდგომარეობა ხანგრძლივ ვერ გასტანდა და რითიმე უნდა გათავისუფლებოდა, რადგანაც სახარულ ნიშნებს ვამჩნევდი ჩემს თავს... არა ერთხელ შევნიშნე, რომ ღაბაშვილის დროს აზრის ძაფს ვკარგავ, ვეღარ ვიგონებ არამც თუ უკვე წინაღვე მოფიქრებულ აზრს, არამედ თვით სიტყვებსაც, ჩვეულებრივ სიტყვებს, რომ ენა მუბის და ლიუბანით სიტყვებში ასრები შეკარგება, ენა მიჩვენებდა, მიბრკვილებდა...

სარკეში რომ ვიხედებოდი შიში ერთი ორად მემატებოდა; თვალები ჩამდრმავებოდა და მათში რაღაც ავადმყოფური—სულიერ ავადმყოფური—ალი ციალებდა...

ძალიან დამაფიქრა ამ ალი... ასეთს გამომეტყველების გამხატვას მე განკებ ვცდილობდი ხოლმე სტენაზე, როცა შეშლილების რაღაცს ვთამაშობდი და ახლა კი თავისთავად ჩასახულიყო იგი ჩემს თვალში...

და გადავწყვიტე—რადაც უნდა დამჯდომოდა—გამეგო, მღალატობდა ის თუ არა.

ბუერის ფიქრისა და თათბირის შემდეგ ჩემსავე გონებისთან აი რა გზას დავადექი: ვიცოდი რომ დღეს, სლამოსა, ქალი და ის ვაჟი ერთად უნდა წასულიყვნენ ერთ კერძო ოჯახში, სლაც ნადამზე იყვნენ მიწვეულნი და საიდანაც გვიან დაბრუნდებოდნენ.

მიველ ერთ ჩემ კარგ ნაცნობ მეეტლესთან და ვთხარე—შენი ტანისამოსი და შენი ეტლი უნდა მაქირავო გათეხებამდის—მეთქი. მეეტლემ შორს დაიჭირა—ერთ რამე ხათხალაში არ გამრიოთო. მე ავუხსენი—მასკარადისთვის მინდა და შემდეგ ბაღში გასასეირნებლად—მეთქი. ბოლოს, როგორც იყო, დავიყოფიე, რაკი 25 მანათიც დავანახე.

თერთმეტი სწათი იქნებოდა, რომ, მეეტლეს ტანისამოსში გამაწყობილმა, გრიმ-გაკეთებულმა, მივიყვანე ეტლი და სანადამო სასახლესთან გავჩერე. გზაში რომ მივდიოდი—რამდენჯერმე მიხმეს ჩასაჯდომად, მაგრამ ყველას ვუხსუსებოდი—არა მტალიან—მეთქი. ერთმა ოფიცერმა კიდევ შემომავინა და ზოლიციელის დაძახებაც განიზრახა, მაგრამ მსწრაფად მოვეურცხლე.

ნადამის შიგ შუაგული იყო, ცეკვა განურებული და გავიფიქრე, რომ დიდხანს მომიხდებოდა ღოდინი.

მაგრამ ნათქვამი არ გამიმართლდა. თერთმეტ სწათს ცოტა გადაცილებული იყო, რომ გაიღო კარები და ისინი გამოვიდნენ. მაშინვე ვიცანი, რადგანაც იმათ ელექტრონის სინათლე ანათებდა და მეტი ეტლი სიბნელეში შეეხა. ჩემს ბედზე იქ, ახლო-მახლო, სხვა მეეტლე არავინ იყო და მე ვერ მიმასწრობდა, მით უფრო, რომ ცხენები კარკი მუავდა. ერთი დავუწრუწუნე ცხენებს, ავიქნიე სლავები და გულ-აფანტალებულმა ეტლი კარებზე მივავადე.

— კარგი ეტლია!—წამოძისა ვაჟმა.—სასეირნო დამეტა... რა მოვარკა!...

— ძლივს არ დავლახნოეთ თავი იმ არა-მკითხე მას-

ხინძლებს, თორემ შენი მტერი, რადემდის მოგვიხდებოდა გულ-გამაწვრილებული ღოდინი—სთქვა ქალმა, რომელიც, ვაჟის დახმარებით, ეტლში მსუბუქად ამოხტა.—

სიტყვები „შენი მტერი“ გულში ღაფარავით შეძგერა. სქემ ის იყო, რომ სხვებთან ქალ-ვაჟი „თქვენობით“ მიმართავდნენ ხოლმე ერთმანეთს. თავი შევიმაგრე.

— საით მიბრძნებო—დავკეითხე ხრინწანის ხმით ემსწვილ კაცს, რომელმაც ქალს ეტლი წამოსასხამი შემოუთბინა და ეტლში ისე ჩაჯდა.

— საით წავიდეთ?—მიუბრუნდა იგი ქალს.

— შინ—იყო ზასუხი.

— იქნებ, ზაალი უკვე დაბრუნდა... მატარებელი მოსული უნდა იყოს... ხომ დღეს მოელოდდი?..

ზაალი ქალის ქმარი იყო.

— მართლაც... მამ კოჭრის გზით გავისეირნოთ... რეფლავერი ხომ თანა გაქვს?..

ვიგრძენი რომ ძარღვებში სისხლი შეეინება და ყრფლას მიტანს. ქალის სიტყვები მეტად ნაცნობი იყო ჩემთვის. სწორედ ასევე არა ერთხელ მოუმართავს ჩემთვისაც—მაქვს თუ არა თან იარაღი,—როცა ღამე სასეირნოდ ვეყოფილვართ.

— კოჭრის გზაზე—მიბრძანა ემსწვილმა და მეც ცხენები დავძარი.

ურბეში რადაც მიწიოდა, გულს დგარა-დგური გაჭეჭნდა, ძარღვები მთლად დაძგერული მქნდა, მაგრამ თავს ვიმაგრებოდი, მით უფრო, რომ ჯერ ქალქს არ გავცილებულიყავით და ქალ-ვაჟი ჩუმად ისხდნენ...

იმ რამდენსამე სიტყვაზე, რომელიც წყლან წარმოითქვა, თვით ღაბაშვილის კილოზე და ხმის ბგერაზე—ვატებოდი, რომ მათი ერთერთი დამოკიდებულება სმომიჯნურას ჰგავდა. ეს თვალნათლივი იყო ჩემთვის... მაგრამ მანინც მინდოდა ჩემის თვალთ შენახა, ჩემის უერთი გამეგო, სლამდის აღწევდა ამ ქალის გარეუნილება, ცბიერება, თინთლიბაზობა.

ამ წამს სწორედ იმ დაკადილ ავადმყოფს ვგავოდი, რომელიც სიცხე—შეკეთებული, გონება არეული წამოვარდება ზეზედ, გადისხნის წყლულს, ფრხილებით იღადრის და ხორციელის ტკივილით იქარვებს ტვინის სიმწვავეს...

— შენს ზაალს რომ ცოტა კიდევ დაეკვიანა—უმადური არ დავრჩებოდი... ამ რიგობაზედ იგი აჩქარდა—სთქვა ემსწვილმა, როცა კოჭრის გზას მიუხანლოდით.

— ნუ უჩივი ბედს... მთელი ორი კვირა საკუთრივ შენი ვარ...—უხსუსხა ქალმა.

დარწმუნებული ვიყავ, ამ დროს მან ეშმაკურად გაიღიმა და ცელქად შეხედა ემსწვილს. ეს მოძრაობა ხმაზედ ეტეობოდა და ჩემთვის ნაცნობი იყო.

— ძლიანაც ნუ იყვადრები... ნახევარი ამ დროისა, კარგად იცი, შენმა უუღვამო ტარიელმა წამართვა—სთქვა ბუზღუნის კილოზედ ემსწვილმა.

ეს უუღვამო ტარიელი უეტველად მე ვიყავი.

— შენ კიდევ იტვინებოდი?!...—შეკითხა მითრამ



უკმაყოფილოდ ქალი.—როგორ არა გრცხვენინა?!. ნუ თუ აქამდის არ დაწმუნდი...

— რა დაწმუნდი?... რამდენიც მოველ, იმდენი შენს და მიხვდა... შერე, რა გაბუნხული იჯდა ხოლმე... მთლად გადარეულია... გაგიყუბით უეჭარხარ...

— შენ კარგად იცი, რომ, იმის გარდა, ბევრს სხვას ვუეჭარვარ... მაგრამ რა გამოვიდა?... უეჭვამ კარგადვე იცის ჩემი მიუყარებლობა... ჩემი ზატოასნება...

— მაინც, არჩილი...

— არჩილი—გაწვევების ქალმა—ზატოასნი, ჭკვიანი კაცია, მისი მეგობრობა ჩემთვის ძვირფასია რამ არის...

— არ ვიცი, არ ვიცი... რა არის თქვენს შორის, — მეგობრობა თუ სხვა რამ,—მაგრამ მე-კი ეჭვი გონებას მირეგს. როცა ის ლაზარაკობს ხოლმე გატაცებით—შენს თავლებს ეღვარება ემატება და მთელი შენი არსება იმ იერით არის მოსილი, თითქოს გინდოდეს იგი სულში ჩაიძვინებო.

— მე როდის ვმალავ, რომ არჩილი მიუყარს... მიუყარს მეგობრულის გრძობით... მხოლოდ მამაკაცის გარეგანი ბუნება ვერ იგუებს ქალ-ვაჟ შორის უანგარო მეგობრულ კავშირს...

— ეგ უეჭვადვე წარმოსადგენია, მაგრამ ჩემი დაკვირვება მაინც მოსვენებას არ მძლევეს... ხან და ხან, როდესაც თქვენის სხვის მეტუეელებს უეცრად, მოულოდნელად თავს მოგვრამ ხოლმე—ასე მგონია, თქვენ შორის არის ისეთი რამ საერთო საიდუმლოება, რომელიც ჩვეულებრივ მეგობრულ ფარგლებში არ მოთავსდება... მე თითქოს ალღო მეუბნება, რომ არჩილს მართლ შენი სულიერი საღარო როდის აქვს გადაძლილი, არამედ... ვგრძობ, რომ მისთვის გზა ხსნილია შენს ხორციელ წაღვრატამდე, რომ არჩილს კიდევ მოუკრეოვია სიტუბების ევაილი ამ წაღვრატში... ოჰ! რომ იცოდეს, რა ზომამდე მამაკებს ეს წარმოდგენა... ხან და ხან სისხლი მამკება თავში, და მზადა ვარ...

ღმერთო ჩემო!.. ეს რა ხდება ჩემ კარში?!.. ვისი ხმა, ვისი სიტყვები მესმოდა?... ეს მე ვიყავ, თუ სხვა—ჩემი სულიერი ასლი, რომელსაც სხვისი სხე მიედო?!. იგივე ხმა, იგივე სიტყვები, იგივე ტანჯვა, სასომიხილობა, ერთი სიტყვით, უეჭვად ის, რაც მე მემართებოდა, რასაც მე ვამბობო, რასაც მე მიხასუნებდნენ... სად ვიყავი—ვერ გამოვალ. სიხმრად თუ ცხადად ხდებოდა უეჭვად ეს... სტენსკედ თუ სტენის გარეშე?!. ეს ხომ განმეორება იყო უეჭვად იმისა, რის მამქმედებე მე ვიყავი არა ერთხელ...

ამვე დროს უცნაური მუშაობა ჰქონდა ჩემს გულს: ხან ერთბაშად მამწედებოდა სისხლი, მძიმდებოდა და სუნთქვა მეკვროდა, ხან უეცრად დაიცლებოდა ხოლმე და ისე მისუსტებოდა, რომ კოფოზედ თავს ძლივს ვამაგრებდი.

გაქვავებულაფით ვიჯექი ეტლის კოფოზედ.. ცხუნებს სადავები მივუშვი და სმუნად ვიყავ გააქცეული... ქალი აწმუნებდა ემაწვილს, რომ ეგ ეჭვი შენივე გონების და გრძობის ცდუნებას და სხვა არაფერ...

რომ... თუმცა მოხარული ვარ, რომ ასე ეჭვანობ—ეგ ჩემდამი სიუყარულს მიმტკიცებს, მაგრამ ტუეულად იტანჯავ თავს—არჩილი ისევე უცხოა ჩემთვის ტრფიალების სამთავროში, როგორც აი, ეს მეეტლე...

— ახა, მომეხვეი, მკაცრე—მამინ იგრძნობ, რომ შენს მეტი არვინ მიჭკარება ამ ლოყას, ამ ტუხებს, ამ თვალებს... თითონ ჩემის სხვის ნაკვთი გაამბობენ, რომ ძეხორციელმა, შენს გარდა, არავინ იცის მათი მთროფოვარება, მათი საიდუმლო მშვენება, მათი დამათრობელი ნექტარი...

აქ-კი ველარ მოვითმინე.

— სტუეი!—შეგძახე მე, მიავტრიალდი რა იმათკენ. მოვიგლიჯე წვერი, მოვიხადე ქული და ზარია.

— ახა შემომხედე, ჩამატკრდი თავლებში და მე-რე შეჭედიე მაგას, რომ ეგ ერთადერთი შესაიდუმლოა შენის სხეულისა და შენის სულისა... რომ ეგ ერთადერთი სტკებუა შენის მშვენებით... რომ ერთად ერთს მჭკვავს თროფოვარებაში შენი ვნება, შენი სისხლი... შეჭედიე, შეჭედიე ისე, როგორც მე მეფიცებოდი ხოლმე!..

ჩემის ხმის გავონებაზედ, ჩემის სხვის დანახვაზედ ქალმა ერთი შეჭკიოვლა—არჩილო—და ეტლში გულ-შემოერილი მიესვენა.

მე მაინც არა ვცხრებოდი.

— ჰია, შე ცბიერო, უნამუსო, გარეგნილო ადამიანი!.. ეს არის შენი ზატოასნება?!. ეს არის შენი კდე-მამოსილება, რომელიც მთელს ქვეყანას ზიარზედ აკერია და რის გამოც წმინდანად მამჩნისარ...

მივუბრუნდი ემაწვილს, რომელიც გავონებულაფით ფეხზე იდგა გაჩერებულ ეტლში და კოფოს დაბჭენდა.

— ეს დედაკაცი თურმე გარეგნილების მორეგში სტურავდა, და, ვნების დასაკებლად, თქვენც გატუეობდათ, მეც მდალატობდა... მე იგი გაგიყუბით მიუყარდა... თქვენც ამავ მდგომარეობაში ეფოფილხართ... რაღა თქმაუნდა, ამის შემდეგ, არც ერთ ჩვენგანს იგი აღარ ეკუთვნება, მაგრამ მე მაინც ვერ გაზატებოთ, რომ წარსულში მზარავდით მაგის სხეულის მშვენებას... სულიერისა არას ვიტუევი—იგი არც თქვენი და არც ჩემი არ ეფოფილა... იგი კუთვნილება ზნეობრივის სიბინძურისა... აი, მე და თქვენ ძლივს ზირისზირს შევხვდით... თანახმა ხართ თუ არა გამისწორდეთ?... თუ თანახმა არ იქნებით,—სულ ერთია—მაინც მოგკლავთ. თქვენც გქონიათ იარაღი, მეც მაქვს... მამწები საჭირო არ არის...

ემაწვილი ისე იყო დამთხვეული იმ ამბით, რაც ახლად მოხდა, რომ უსიტუვოდ შემოჩინებოდა. ჩამოვიდა ეტლიდან და გზაზე გაჩერდა. გავზომე ხუთმეტრი ნაბიჯი და მის ზირდაზირ გავჩერდი.

— ამოდიეთ რეფოლევი და დამიმიხენთი!..—შეუუძახე ემაწვილს.

ის კვლავ დამემოჩინდა.

— ერთი... ორი... სამი...—დავიძახე მე სვენებ-სვენებით.

გავარდა ჩემი რეფოლევი და ემაწვილი მიწაზე გა-ნერთოდა გულდაღმა. იმისი რეფოლევი არც-კი გავარდნილა.



მერე მიუყვანდა ეტლს. ქალი გონებზედ რე-
ვოლუციონის ხმას მოკვანს. მან სსსრკ-ის რეპრეზენტაციის
მომხმადებელია—რას სჩადინებო...!

— ხმა, კრინტი, თორემ შენც გაგათავებ—შეუგებო-
ლე და რეპრეზენტაციის დაუმიზნე. ამის დანახვასე ქალს
კვლავ გული შეუწუხდა.

მეკი დავაგლე მოკლეულს ხელი, ავწიე და ქალს
გვერდით მოვუდე, გავასწორე ეტლში, რომ არ გადმო-
ვარდნილიყო, გადავსვინე ზურგის საყუდელზე, შევვქექ
კოფრებზე და ცხენები დავძარ...

მიუიყვანე ეტლი და ქალის სახლის კარზე გავაჩე-
რე... ჩამოხრტი ეტლიდან, გავინადე შევეტლეს ტანის-
მოსი, იქვე დაფარე, მიველ კარებთან და ზარი დავრე-
კე... მერე შევხედე ეტლს: ქალ-ვაჟი გადასვენებული
იყვნენ ეტლში, თითქმის სძინავთ. შემდეგ გზას გაუ-
დექ და რედესაც ამ სახლის გვერდზე გავიარე—შენ
მომავალი და აი, შემოველ აქ, რომ შენთვის მუამბნა
რაც თავს გადამხდა. რად აღმეძრა ასეთი სურვილი მე
თითხნაც არ ვიცი...

დამაფას არ ვაზიარებ... ან სდ დავიმადლები? ჩემს
თავს ხომ ვერ გავაქცევ, თუნდა მართლ-მსაჯულებას მი-
გეთარო?! არც სინიღისის მხილებისა შეშინან, რადგა-
ნაც იმ წამის შემდეგ, როცა ჩემის თვალთ ვახე, ჩემის
ყურით გავიგონე სუფარულ ადამიანის დღატი—როგორ-
ღაც დავცარიელი... მე ახლა ფუტურა ხეს ვკვარ...
გარეგნობა ადამიანისა მქვს, მაგრამ, ფუტურისი არ იყოს,
გამოფულურებული ვარ... რაც რამ კაცური დირსება
მოიხვევებოდა ჩემს ადამიანობაში—ცხოვრების გენიამ ამო-
სწო, ამოშრო და ახლა დაცლილ ჭურჭელს ვკვარ, რომ
შეღმინაც, შეიძლება, რედესმე მდგარა გამაგრებული
ცვარი...

არც სიუვარული, არც მოსუვარება, არც სათნობა
და არც სხვა რამ, ურომლისოდაც კაცს კაცობა არ
ეთქმის,—ადარ მოიხვევება ჩემს სისხლში, ჩემს ტვინში...
იქნებ ცოცხალი დავრჩე, იქნებ მართლ-მსაჯულების
ზღვევამდე, თითონ მე მოვიწვინო ის დღე, რაც ამ
სოფლად კიდევ დამჩნია, მაგრამ, იცოდე, ერთიც და
მეორეც არც აზრის და არც გრძობის საყოფი რადი
იქნება. მე ესაა იმის გარეშე ვდგვარ, რასაც შეიქს
ეს ორი უძლიერესი ნაკადი ადამიანის ქვეყნად არსებობი-
სა და, თუ ვმოქმედებ,—ვმოქმედებ როგორც ერთხელ
ამოდრავებული მანქანა ინერციის კანონის ძალით...

მაშინ-კი, როცა ის მიუვარდა, ცხოვრება ხან სნი-
ფოსან, ხან ზირქეშე ვარსკვლავად მინათვდა... ცხოვრება-
ში ვხედავდი აზრისაობას, რომელიც აცისკრავებდა ჩემს
კერძო არსებობას... ეს აზრისაობა თითქმის მაგული-
ხმებდა, რომ ადამიანი თითონ არის მჭედელი თავის ბე-
ლისა, რომ მას აქვს შესაფერი იარაღი ბედთან სუბროფ-
ვლად... უკანასკნელი ჩემი სიუვარული იყო ამის მთავ-
ლები... იგი, მართალია, ცვალებადი იყო—ხან სსსრკ-ის,
ხან სატანჯველი, მაგრამ ორივე შემთხვევაში ამომოძრავ-
ბელი და იმის მანქანებელი, რომ მე მარტო კი არ
ვცოცხლობ, არამედ კიდევ ვცხოვრობ,—ვობობი ბედნიე-

რებისთვის და საკუთარს მარჯვენით ვჭედავ ჩემს
ბელს...

რედესაც იმ უბედურ ადამიანს ვკვლავდი,—მაშინ
ადუღებულ სისხლის გამო გონების თვალთ დახუ-
ჭული მქონდა და ახლა, როცა გაიარა გრძობ-
ბათა ფრთხილად, ვხედავ, რომ უოველისფერი ამაო... მე
მოკვლავი ადამიანი, ჩემის სულიერ მუდრებობის დამარ-
ღვეველი, მაგრამ ხომ ვერ მოვხე თვით იღვა ადამიანის
უბედურებისა... მე გავათხსირე სუფარული ქალი,
რომელიც, შეიძლება, ამის შემდეგ, ადარც—კი დარჩეს ამ
სოფლად, მაგრამ ამით ხომ თვით იღვა მოღალატეობისა,
ცბიერებისა არ გამინადგურებო, არ მომიკვლავს!.. იგი
ისევე ცოცხალია, ისევე არსებობს და განავრდობს თავის
საშინელ საქმეს... და, ვგონებ, რომ უხელოფა ბრძოლა
აზრთან, იღვასთან, რომელიც შინაგონი ადამიანის ცხო-
ვრებისა, მაშინ, რედესაც თვით ადამიანი მოხლოდ ფორ-
მას, ჭურჭელი მისი... ერთიც და მეორეც ცვალებადობას
განიღდის, იმტურევა, მაგრამ იღვა და აზრი სხვა
მსგავსში თავსდება და ასე იქნება მუდამ, ვიდრე ქვეყ-
ნასზედ ორი ადამიანი მანინც დარჩება...

აი, ამის განცდამ და შეგნებამ გარდამქნა მე არა-
რად და მაგრძობობის ამაოება ჩემის არსებობისა...

* *

არჩილი წავიდა. სსსრკ-ის ვერა უთხარი-რა. ან რა
უნდა მეთქვა?! კაცი სსსრკ-ის რეპრეზენტაციის გასცილებოდა
და მიეღწია იმ კადემდე, სადაც სული და ხორცი ერთმა-
ნეთს ეერება, სადაც იწეება თვალხილული გარინდება,
უსაზღვრო დუმილი ცოცხალ არსებისა, ნირვანა... და... მე
რადაც ზატარა, კინი მიჩვენა ჩემი თავი არჩილთან შე-
დარებით... მე კაცს-კი არა, კაცუნას უფრო ვკვლავდი,
დღიურ სიცხადის ურემოჭრელ მონას, იქამდე უძღურს,
რომ მთელი საათობით ვუიქრობდი და ერთი უბრალო,
გახუებული აზრი ვერ გამოემძებნა მოთხრობისათვის...
ის-კი... არჩილი... რა დიადი იყო... ბუმბერაზი
ვით ამოებობს, აზრისაობის იღვა.. მას თითქმის განცდილი
ქონდა საიდუმლოება სიკვდილ-სიცოცხლისა და, -მათ სსსრ-
კისაზე მდგარი,—იგი თვისის გრძიულის თვალთ
განსჭვრეტდა ქვეყნის დასაბამს და დასასრულს...

და რედესაც ვაკვირდებოდი არჩილის ნაამბობს,
გერძობადი, რომ ჩემს თავში აზრი ინსკვება... აზრი,
მოთხრობის შესაფერი... დიდი, მშვენიერი მოთხრობა
დაიწერებოდა არჩილის ცხოვრების ეპიზოდისა, დრამა-
ტიზმით, გულხმიანებით აღსავსე... მართალია, სახალწლო
მოთხრობად იგი ვერ იფარგებდა, მაგრამ ჩემზედ არ იყო
დამოკიდებული?!.. შეჭურჭლე-სათიკენაც უნდა-იქითკენ
გამაბამს საღვინესაო ურს, ნათქვამია და მეც ხომ
ამ შეჭურჭლეს მდგომარეობაში ვიყავი... ახლა რა ვუ-
ყოთ, რომ ეს ამბავი ახლას წელს ისე ეკიდევავება, რო-
გორც სუსხიანს ზამთარს თხლად ნაკეძი ჩითის ჩასაცმე-
ლი... მაგრამ, სულ ერთია, აზრისაობაში არც ამ ჩასაცმელს
დაიწუნებს გათომილი ადამიანი და რადმე გამოიყენებს...

მაშ ასე!.. შეუდგეთ ჩვენს წმინდა საქმეს და ვინც
ამის საძიარის რამედ ჩამოგვართმის—ის ჩვენს რედაქ-
ტორს ნუ ეტყვის—ასე ტაბილად დამიბერდო.



ჩემი საბრძანებელი როგორღაც განათდა... ბურუსი შეთხელდა... ორჯერ-სამჯერ სარკვეში ჩავიხედე და, ხუთის მაგიერ, მხოლოდ ორად დავინახე ჩემი სხე, რომელიც წინანდლები როდღაც შეჩვენა უილაჯობის ფარგალში მამწევედელი... შუბლზე თითქმის აზრის მეტეველების შარვანდელი გადაიფენდა და ამ შარვანდელის სხივები ჩემს მამავლის მოთხრობის სტრუქტურებით იყო ნაქსოვი... გულში დიდ მადლს ვწირავდი განგებს, რომ არჩილი მამავლიანა ჟამს სსს-მინდილობისას და ჩემს ოცნებას აფრთხილებინა...

შეგუდექი წერს... ვწერდი გააფთხებულ, გამძვინვარებულ... ჩემი ოცნების საუღური ამ ჟამად ქარხანასავით იყო ამოძრავებული... შიგ აზრი, სურათი, წარმოდგენა იბრძოდებოდა და მე რეაქციას ვაძლავდი... დაწვრილს არცაი გადავიკითხავდი ხელზე და ქადაგდის ნაჭრებს გვერდზე ვსდებოდი... იქნებ, დიდი სისულელე იყო ის, რაც უკვე გამოცხობ ჩემს ტვინის მუშაობას, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა... გონების თვალწინ არჩილის არსება მედგა... უერში მისი ხმა ჩამესმოდა... მესხიერების ფირფიტაზედ მისი სიტყვები იბეჭდებოდა... ვცდილობდი არც ერთი მოძრაობა მისის სულისა არ გამოემზარებოდა, არც ერთი ხვამიანი არ მიმეფარებოდა გონების თვალთვალს... თვით მე, ოცნების ფრთებზე შესკუნიებული, არჩილად გადავიქცეოდი ხელზე და იმის მაგიერობას ვეწეოდი... ჩემი სულიერ ვითარების სურათის გადაღება რომ შესაძლებელი ეოფილიყო, — დაწმუნებული ვარ, ძალიან ვეგვანებოდა ძველი ჯურის ტრაგიკოსობის, უშველებელის ტანისას, დიდის, მსხვილის და ყოჩის ფრთასავით შავ უღვასებობას, ბრალდა თვალბრალად, ოქვად-ჯადოს წამსისხამში და ხელში ბურკეტით... რომელიც ხმითა დიდითა მისთქვამდა თავის კავშირს, უჩიოდა ბუნების, ადამიანს და დამაბრუნებელს!..

* * *

რედაქტორის ხმამ გამომავლიდა.

— რა დაგემართა, კაცო!.. ნახევარი საათია გიუვირი და გონებაში ვერ ჩატკეპი...

— ჭა... ჭმ... ჭმ... რა იყო... ვინ არის... — ვუხასხუხე მე შემოვბრუნდით.

— როგორ თუ ვინ არის?!.. მე ვარ, მე... დასწერე თუ არა მოთხრობა?.. თუ არ დაგიწერია, იცნადე, დიდ სკანდალს დაგაწევი... ყურნაღის იმ ფურცელს, სადაც შენი ნაწერი უნდა იყოს დაბეჭდილი, სოფთას დაგეტოვებ და ზედ ქარავით ვაწეობინებ: „ამ ადგილას ამა და ამ ვაჟბატონის მოთხრობა უნდა ეოფილიყო დაბეჭდილი, მაგრამ, სიზარმაცის და ფუქსავატობის გამო, მოგვტოვას, თუმცა ავანსი-გი წადებული აქვს — მეტი“ — ჭა! დასწერე თუ არა?..

— ემანდ მაგიდაზე ერთა ფურცლები, წაიდე და მომიხრდი... მე თითონ არ ვიცი — რა ხილია... შეძინება... თეთრად გათენებული იყო, რომ დაგწევი... — ვუხასხუხე მე და მეორე გვერდზე გადავტრიალდი.

— ჭა, ეოჩად! ბაშისდუნ ბიჭო!... — მომადანს დიმილით ჩვენმა შეფმა და მაგიდისკენ გასწია.

ტეილ ზმანებაში ვიყავი... მესიზმრა, ვითომც სადაც თვალ-უწვდენ დარბაზში ვარ... მგონია სინემატოგრაფი იყო... აურებელს ხალხს მოუყვია თავი, რომელიც ზღვასავით დედავს... ერთბაშად დასბეჭდეს... ამავე დროს ერთ-ერთი კედელი კი იმ დარბაზის უცვლად თეთრად განათდა და ზედ ჩემი მოთხრობა ადებეჭდა... ჯერ ფურცელ-ფურცელ დალაგდა... მე რე მარათავით გადაიშალა... ფურცლები სხვა და სხვა ფერად იყო ადებეჭდილი... ამ ფერადებს თან და თან იქნა ეცვალათ და თითოეული ცალკე უმშვენიერეს ფერად გადაიქცა... ამ დროს გამოვიდა ვიღაც დარბაზიელი ვაჟბატონი... და ვაშტერდი და ვინ ვიცანი?... ჩვენი ცნობილი კრიტიკოსი... გამისკდა გული! აბა, ახლა თუ მამეჭრება-მეთქი თავი — გაგიფიქრე... ჩვენ შორის უთანხმოების ზღვარი იყო ცნობების მიერ გავლებული: მე მისი კრიტიკოსობისა არა მწამდა რა და იმას-კი ჩემს ბეჭეტრისტობისა.

მაგრამ, დახეთ სასწუღს!.. იგი დიმილით მიუხალავდა ერთ-ერთ ფერათავსანს, მთავალ ხელზედ ხელი და დაუწყო ციბრუტივით ტრიალი... რის გამოც ფერია, — ე. ი. ჩემი მოთხრობის ფურცელი — ჯერ კრძიულ, უშველებელ ვარდის კოკორად შეიკრა და მე რე ვარდად გადაიფურჩქნა. ბოლოს კრიტიკოსმა მადლა აქნია და ჭყერში გაჩენა. ასევე მოქცა დანარჩენებს. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც უკვალა ამ ჯადოქრობას სწადიდა — ჩვენს კრიტიკოსს სახიდან სიამოვნების დიმილი არ მოჭმობრებია, თითქმის ხალხს ეუბნებოდა — ხედავთ რა სულის წარმტაცი ფერიათა... ბოლოს მოკრიფა უკვალა ის ვაჟბატონი და ერთ დიად თავიგულად შეჭკრა და ესთავი სიფრცეში გასტეოვნა... ვაჟბატონი ისე ფურცლებად გადაიქცა შემდეგ ის-ზედ წარწერით: სისულელია — შრიალ-შრიალით წამოსული ფურცლები ერთ დიდ კალთაში ჩაგვივდა... კალთას ზედ ეწერა: სანაგვე.

აქ-კი ვეღარ ვეიტანე კრიტიკოსის საქციელი და იმისკენ სცემრად გავიწეე. ამ დროს კვლავ რედაქტორის ხმა შემომესმა:

— კაცო, ეს რეები მოგიჭორობია?

გამოღვიძებამ დამამშვიდა, რადგანაც ის, რაც ახლა გადამხდა თავზედ, — სიზმარი გამოღდა... მართალია, ცუდი ნიშანი იყო ეს სიზმარი, მაგრამ მაინც სიზმარი იყო და არა მწვაფი სიცხადე.

— რეები მომიჭორობია?.. — დავეკითხე ჩემ თავად რედაქტორს — რაო, არ ვარცა?

— არა უჭირს-რა... მაგრამ შენ სულ სხვა რამ დაგიწერია...

— როგორ თუ სხვა რამ?.. განა რა უნდა დამეწერა? — შევეკითხე კვლავ რედაქტორს გაკვირვებული.

— ის, რაც მამბეს...

— მე რე, ვინ გაიმბო?

— არჩილმა...

სახტად დავჩიხი.

— განა შენ საიდან იცი?

— როგორ თუ მე საიდან ვიცი... ის კაცი მე გამოგიხაფნი...




— შენ?!

— ჰო—შემოდინა რედაქტორმა—იქნებ, შენ მართალი გგონია; რაც არჩილმა გაიმბო?!—რედაქტორმა კვლავ თავისებურად ჩაიკუჭკუჭა—ვიცოდი, ვიდრე მუჯღუგუნს არ წაკვავდნენ—არაფერს დასწერდი და აი, ამ მუჯღუგუნს არჩილი გამოვიყენე... ის ამბავი ჩემი შეთხზულია... საქარგი მთვევით და ქსოვა კიდევ შენი საქმე იყო... აკი ამიტომაც, ვინ იცის, რეკები არ შეგაქარავს... იმ კაცმა უბრალო, სდა თავკაცსავალი გაიმბო და შენ-კი... ფეიქარის ქსელაფით გავიბამს... ორი კაცი მოვიკვავს... შესამე სიკვდილის ზინამდე მივიყვანა... რამდენი ტყუია-წამალი დაგინარჯავს... მერე რისთვის?! ერთი ზაწის სახალწლო მთხრობისთვის... მავრამ ანა უშავს რა... შემდეგის ნამრისთვის გამოგვადგება...

ის იცინოდა ვაჟოფთელებით სავსე სიცილით, თათქის ბატონუტის ტკაცა-ტყუილი... მე-კი ოჩინსავით ვიჯექე ლოგინზე და სულელურად შევეურბოდი ამ უცნაურ ადამიანს, რომელმაც ასეთი ოჩინი მიუღო... დაწმუნებული ვარ, მეტის-მეტი ტუტუტური გამომეტყუვლება ჰქონდა ჩემს სახეს, რადგან ბ-ნ რედაქტორის სიცილი თან და თან გაძლიერდა და ბოლოს იამბ-ცხენის ხვიზვინის მსგავს ხანხანად გადაიქცა.

ილ. ელფთერიძე.



ც ხ მ ვ რ ე ბ ა

რომანი გიუ დე მოპასანისა

თარგმანი ფრანგულით დ. კასრადისა.

I

ჟანა მორჩა ბარგის ჩალაგებას და ფანჯარას მიუახლოვდა. გარედ წვიმა არა სწყდებოდა. მთელს ღამეს გააფთრებული ავდარი წვიმას უშენდა ფანჯრის შუშებსა და სახლის სართულს. მოქურღმებულო ცა, თითქოს ღვართქათად გამსკდარიყოს, კოკის პირულად მოჰშვებოდა დედამიწაზე და ათონთხლილ-ადუღებულს ისე აღნობდა როგორც შაქარს. მძიმე აღმური ყოველს დაბერვაზე სიცხის ლულით ახშობდა არემარეს. აზვირთებული ნაკადულები გადმომექდარიყვნენ ნაპირებზე და უდაბნო ქუჩებს მიშვებოდნენ, სადაც შენობების რიგი, როგორც წყალში ამოვლებული ღრუბელი ისე ისვამდა სისველეს და ოფლსავით სხურავდა გაჟღენთილ სინესტეს დაბლა დერეფნებისა და სარდაფების კედლებზე.

წინა დღითვე მონასტრის კედლებიდან გამოსული ჟანა, დღეს სამუდამოდ თავისუფალი, მზათ იყო ცხოვრებისაგან მოეთხოვა ყოველისფერი ის, რაც მისი აზრით კარგი იყო და რაზედაც დიდიხანია ოცნებობდა ოთხ კედელ შუა. თან კი გულში შიში არ უკრთებოდა, ვაი თუ მამამ გადაიფიქროს, თუ რომ წვიმა არ გადაიღებსო. და აი, დილას აქეთია ეს მეორედ შესჩერებოდა შორს ჰორიზონტს, რომ იქ რამე სანუგეშო ამოეკითხნა.

ამ დროს მას კარების უკანიდან დაუძახეს:

— ჟანეტა!

— შემოდი, მამა, — უბასუხა ჟანამ და მალე იმისი მამაც გამოჩნდა.

ბარონი სვიმონ ჟაკ ლე პერტუის დე ვოელი წარსულ საუკუნის წარჩინებულ გვარს ეკუთვნოდა, კეთილი, უწყინარი, თავისებური ხასიათის ადამიანი. როგორც ჟან-ჟაკ რუსოს აღფრთოვანებულს მოწაფეს, ძლიერ უყვარდა ბუნება, მინდორ-ველებზე ხეტიალი და პირუტყვები.

არისტოკრატად დაბადებული იგი ინსტიქტიური მტერი იყო ოთხმოც და ცამეტი წლებისა *), მაგრამ თავშეკავებული ფილოსოფოსი და აღზრდილი ლიბერალი—მოძულე იყო ყოველგვარ ძალდატანებისა, თუნდაც უწყინარ ბოროტებისა. მისი დიდი ძალაც და უღონობაც მისსავე სიკეთეში გამოიხატებოდა. სიკეთე—რომელსაც ხელი არ ჰკმაროდა სააღერსოდ, რომ ყველასთვის სული გადემალა გულს ჩასაკვრელად, სიკეთე მშობლიური, უანგაროდ მიმობნეული, რომელსაც არაფერი ჰქონდა შესაკავებლად, როგორც რომ ნერვთა შეჩერებაა, ნების ჩახშობა, სრულ ენერჯის გამოფიტვა, ერთი სიტყვით, გადაქარბებული სიკეთე, რომელიც ხშირათ მანკიერებად გადაიქცევა ხოლმე.

ის თეორიის მოყვარული იყო და ჰფიქრობდა თავის ქალის კარგად აღზრდას, რომ ის ჰყოლიყო ბედნიერი, სათნოიანი, სიმართლის მოყვარე და მგრძნობიერი.

მისი ქალი თითქმის თორმეტ წლამდე მისსავე სახლში იზრდებოდა, შემდეგ კი მიუხედავად დედის რჩევისა და მის მხურვალე ცრემლისა იგი განწესებულ იქმნა ქალთა მონასტერში, სადაც მოამწყვდიეს კარჩაკეტილს სასტიკ მონასტრის კედლებში, რათა მსოფლიოს მოწყვეტილს მსოფლიოსი არა რა გაეგო. მამას ჰსურდა, რომ ჩვიდმეტ წლამდე ქალი ასე უმანკოდ ჰყოლოდა, შემდეგ კი გამოეყვანა და საკუთარის ხელით ჩაეყურყუმელავებინა ჰემმარტიების პოეზიის კამკამ ტალღებში, და რომ მინდორველებზე, უხვს ნაყოფიერს დედამიწის გულს, გადაებნტა მისი სული, რომ მასში შთაენერგა ცხოველთა უბრყვილო სიყვარული და ამ რიგად შეესწავლებინა მშვიდი ცხოვრების მშვიდი კანონები.

იმ დღეს ჟანა მონასტრის კედლებს სამუდამოთ თავს ანებებდა, სიხარულით ცას ეწეოდა და ოცნებობდა იმაზე, რომ რაც შეიძლება მალე დასწაფებოდა ცხოვრების წყაროს. იგი მზათ იყო ერთბაშათ განეცადა ყოველგვარი სიხარული და ბედნიერება, რომელნიც კარჩაკეტილობისას, განთიადისას და ღამით, მარტოობისას და ეულობისას მის-

*) ოთხმოც და ცამეტი წლებად მონათლულია 1793 წელი, იაკობინური რესპუბლიკა, უშესანიშნავესი ხანა საფრანგეთის რევოლიუციისა,



მა გონებამ განყენებით უკვე განიცადა და განვლო.

ის ჰგავდა ვერონესის სურათს თავის ელვარე წაბლისფერ თმებით, რომელიც თითქოს ჩამოჰშლოდა ლამაზ, მოყვანილს სახეზე, მსუბუქ მჩატ გინგლით უჩინრად შემოჩრდილულს არისტოკრატიულ სახეზე, როგორც ფერმკრთალს ხავერდზე, როდესაც მზე მას ბუსუსიან გინგლებს ეაღერებდა. მას ჰქონდა ცისფერი თვალები, ფირფიტის ფერად გამოშქვრული. ზედ მარცხეა ნესტოზე მხლის კუკური აბზინებოდა, და ერთიც მარჯვენა — ზედ ნიკაპზე, რომელზედაც სულ რალამდენიც ღერი ოდნავ სათვალწინო პირის ფერი ბალანი ამოსვლოდა. ის იყო სრული, მაღალი, მოყვანილ ტანისა, გულმკერდით მომწიფებული; ხმა კრიალა და ზარის მაგვარი ჰქონდა, მისი უმანკო და გულწრფელი კისკისი არეს საამო სიხარულს ჰგვრიდა. ხშირად ჩვეულებრივად ორივე ხელს საფეთქლებზე შემოივლებდა და ნაზად უკულმა გადისვამდა კულულებამდინ.

შემოსვლისთანავე მამას მივარდა და პირდაპირ ყელზე შემოეხვია:

— ახლა, მამა, მივდივართ? — ჰკითხა ღიმილით.

— ვის გაუგონია ამ ავდარში მოგზაურობა! — მიუგო ბარონმა და ხელი ფანჯრისკენ გაიშვირა. მაგრამ ჟანა ბარონს გულში ჩაეკრა და დაუწყა მუდარა:

— ოჰ, მამა, წავიდეთ, მე დავიტანჯე... შუადღის შემდგომ გადაიდარებს.

— მე კი მგონია, რომ ამ აზრს არც დედა მოგიწონებს.

— დიახ, დიახ, გეფიცები რომ ჰო... შენ მე მომანდე და სხვა მე ვიცი.

— კარგი, თუ ასეა, შეც მსურს, წავიდეთ.

ჟანა სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და საჩქაროდ დედის ოთახისაკენ გაექანა

მას აქეთ რაც ის მონასტერში მიაბარეს, რუენის ზღუდეებს არ გასცილებია. მამა ნებას არ აძლევდა რომ სადმე წასულიყო, სანამ მის მიერ აღნიშნულ ხნისა არ შესრულებოდა. სულ რალაც ორჯელ წაიყვანეს პარიზში, ისიც მხოლოდ ორის კვირით. მაგრამ ესეც ხომ ქალაქი იყო, ის კი მხოლოდ სოფელზე ოცნებობდა.

ღღეს კი ის მიდიოდა საავარაკოდ ალენარში, თავიანთ საკუთარს მამულში, ძველის ძველ საგვარეულო ციხე-დარბაზში, რომელიც აგებული იყო იპორტის გადმოკიდულს მშვენიერს კიდეებზე. ის ჰფიქრობდა გაეტარებინა მშვიდი, მყუდრო ცხოვრება ღელეებსა და მინდორ-ქალებში. ამის გარდა მას გაგონილი ჰქონდა, რომ მისთვის იქ აეგოთ საკუთარი კოშკი, სადაც ის სამუდამოდ დარჩებოდა, როდესაც გაათხოვებდნენ.

ეს წვიმა, რომელიც გუშინდელ საღამოს აქეთ აღარ გადადიოდა, მთელს მის სიცოცხლეში პირველი უდიდესი მწუხარება იყო.

ორიოდ წუთის უკან დედის ოთახიდან გამოიჭრა და სირბილით მთელს მონასტერს ყიჟინა მოსდო: — მამა, მამილო, დედასაცა ჰსურს... შეაბმე-ვინე!

წვიმას ოდნავაც არ შეუწყვეტია. მან თითქოს განგებაც უმატა, როცა ეტლი კარებისაკენ გაემართა. ჟანა უკვე ეტლში ჩასაჯდომათ მზათ იყო, როდესაც მისი დედა ნელა კიბეზედ ჩამოვიდა. ერთი მხრით ხელიხელ გაყრილი მოსდევდა ბარონი, მეორე გვერდით მოსამსახურე გოგო, კარგა მოზრდილი ტანისა — პატარა ბიჭსავით ჩატ უქნული. ეს იყო ნორმანდიელი, კოს მხრიდან, რომელიც ერთის შეხედვით, სულ ნაკლები, ოცი წლისა გეგონებოდათ, მაშინ როდესაც თვრამეტ წელსარ აღემატებოდა. ოჯახში ის კარგად ჰყავდათ მიღებული, როგორც თავიანთი საკუთარი მეორე ქალი, რადგანაც მისი უფროსი და ჟანას ძიძა იყო. მას როზალიას ეძახდნენ.

მისი უმთავრესი დანიშნულება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ თავისი ქალბატონი ხელით ეტარებია, რომელიც საშინლად დასრულებულიყო და აგერ რავდენიმე წელიწადია რაც გულის სიმსუქნით იტანჯებოდა.

მან ხვნეშით გაჰხედა სასტუმროს ჰიშკარს, სადაც ამღვრეულ წყლის გუბეებს ლივლივი გაჰქონდათ და უსიამოვნოდ ადუღდუნდა:

— მართლაც და რა სისულელა ამ ავდარში კარზე გამოსვლა!

მისმა ქმარმა, რომელსაც პირზე მუდმივი ღიმილი ეკერა, უპასუხა:

— ეს ხომ თქვენ ინებეთ, ქალბატონო ადელაიდა!

რადგანაც მისი მეუღლე ისეთ დიდებულ სახელს ატარებდა, როგორიც არის „ადელაიდა“, ის ყოველთვის წინ წაუმძღვარებდა ხოლმე „ქალბატონო“ — ლმობიერებისა და უღრმესის პატივის ცემის ნიშნით, თუმცა ხშირად შიგ დამცინავ კილოსაც გაურევდა ხოლმე ჩუმის ღიმილით.

შემდეგ, როგორც იყო, ეტლში ფეხი შეადგმევინეს. მისი სიმძიმით ეტლი მთლად ჩაიხინქა და თვლებში აჭრიალდა. ბარონი თავის ადგილზე ჩამოჯდა, ჟანამ და როზალიამ თავიანთ ადგილი უკანა სკამზე დაიჭირეს.

მზარეულმა გოგომ ლუდვინამ ათასი ფალას-ფულასი გამოიტანა, რომ შიგ მათი მუხლები შეეხვია. ბოლოს თვითონაც აცოცდა ეტლზე, სვიმონის გვერდით მოიბუზა, გაშალა უშველებელი შალი და თავით ფეხებამდე შიგ გაეხვია. ჰიშკარის დაკეტვის დროს მეკარემ თავის მეუღლით მოიბრინა, რომ სტუმრებს საბოლოოდ გამომშვიდობებოდნენ და უკანასკნელად, ერთხელ კიდევ დაეჯილდოვებინათ ბარგობარხანის გამოზიდვისთვის, რომელიც ერთს პატარა ეტლზე დააკოჭინეს და უკან გაიყოლეს. მალე ყველანი გზას გაუდგნენ.



სემონს და მეეტლეს ზურგი ავდრისაგან მოეღუშათ და თავ ჩაქინდრულნი თორთქალით სამკეც საყელოიან ინგლისურ საწვიმურში ჩამძვრალიყვნენ. ქარიშხალი კი წვიმასთან ერთად ეტლის შუშებს გმინვა-ვაგლახით უშენდა და მთლად ჰლეკავდა მოკირწყლულ გზას.

ეტლს ორი ბედაური მიაქროლებდა მდინარის ნაპირებზე გაყოლებულ გატკეცილ გზაზე. ყველა ნავეებზე საჭედან საბელი ჩამოეშვათ და გატლექილ ანძების ანაბარად, თითქოს შემოდგომის დამდეგს გაცარცულ ხეებს ქარი მუქარით ტოტს უღეწავსო, საცოდავ სახით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. შემდეგ ეტლმა გზას გადუხვია და პირდაპირ რიბუტედის მთის ბულვარზე დაეშვა.

მაღე განვლეს ველ-მინდვრები. ხამუშ-ხამუშ მოლივლივე დახნეილი ტირიფის ტოტები, ზედ ახუნძილულ ავდრის მსხვერპლებით, საცოდავ სურათს ჰხატავდნენ წვიმის საცერში. ცხენები კი არა დგებოდნენ, ნალებით მარდათ სთქვეფავდნენ ტალახს, ეტლს სულ წინ მიაქროლებდნენ და ეტლის თვლებით აკრებილ შხებს ჰაერში ისე აბნევდნენ, როგორც მზე სხივებს.

ყველანი სდუმდნენ. თვითეულის სულის განწყობილება თითქოს ავდრისაგან დამბალიყო. ბარონესა წინ გადმოცურებელიყო, ნიდაყვზე დაყრდნობოდა, თავი ჩაქინდრა და თვალები მოეხუჭა. ბარონი დამბალ და ერთფეროვან არემარეს მოწყენით ათვალეირებდა. როზალიას თოფრაკი მუხლებზე დაეგდო და ჰფიქრობდა, როგორც ჰფიქრობს საზოგადოდ ყველა უსწავლელი და ხეპრე. ჟანას კი თვით ამ გულის დამლევე ავდარშიაც უხაროდა და ისე იფურჩქვნებოდა, როგორც შმორიან სარდაფიდან ჰაერზე გამომშვევებული ნაზი ყვავილი.

ღრმა-გამოურკვეველს სიხარულისთვის, როგორც რომ ფოთლებს ხის შტოთათვის, ისე შეეფარებია მწუხარე გული. ისიცა სდუმდა, მართალია, მაგრამ სურვილი მაინც დიდი ჰქონდა ემღერნა, ხელი გაეყო ეტლის გარედ, წვიმით შეევესო ორივე მუჭა და შეეხვრიბა. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ ბედაურები არა სდგებოდნენ, რომ საკუთარის თვალთ სჭვრეტავდა ბუნების წყრომას, ირგვლივ განმანადგურებელს სურათს, და თითქოს კმაყოფილებით სთვრებოდა, რომ ამ წარღვნის შუაგულშიაც კი ის მაინც მყუდრო ნავთსადგურში იმყოფებოდა.

გაჯიქებულ მძაფრს შხების გამოისად ორსავე პირუტყვს დაბზენილს გავაზედ ორთქლი კვამლსავით ავარდნოდათ და წყალი წუნწკურით ჩასდიოდათ.

ბარონესას ნელ-ნელა ტაატით ჩაეძინა. ექვსი დახვეული კავი, რომლითაც თავი მწყობრად ჰქონდა შემოფარგლული, ნელ-ნელა ჩამოეშალა, სამი

კისრის დალალი კი სულ მთლად მოსწყდა და გახსნილ უბეში ჩაეკარგა. მძიმე სუნთქვას ასკილსავით თავის კანჩურს აყოლებდა და ნახევრად გაღებულს პირიდან სტვენა ისმოდა. მისი მეუღლე კი მის წინ გადმოხრი ლიყო და ტყავის პორტფელზე ჯვარდინად ხელები დაეყრდნო.

მან ცოლს ხელი შეახო. ისიც შეინძრა, გაეღვიძა და მიბლექილი თვალებით სულელურად ახამხამა. ბარონს პორტფელი ძირს დაუვარდა, პირი მოეხსნა და ოქროს ფული ბანკის ბილეთებთან ერთად ეტლის ძირზე გადმოვლიდა. ჟანას ამ სანახაობამ უნებური სიხარული მოჰგვარა და ერთი ისეთი გადიკისკისა, რომ ავდარისაგან ჩაბრუებული გონება გამოუფხიზლა თავის მშობლებს.

ბარონმა ფულები წამოჰკრიფა და თავის მეუღლეს მიუბრუნდა:

— აი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მხოლოდ ესაა რაც გადამჩა ელექტოს ფერმიდან. ეს უკანასკნელიც იმიტომ გავყიდე, რომ აღვნარი გავალამაზო, რადგან დღეის იქით ხომ იქ უნდა ვიცხოვროთ.


ცოლმა ექვსი ათას ოთხასი ფრანკი გადაითვალა და არხეინათ ჯიბეში ჩაილავა.

(შემდეგი იქნება.)

რედაქტორ-გამომცემელი სვ. ყიფიანი.

„მ მ რ ზ ა“

მოთხოვნილი უკლებლად და ნამდვილი კახური დვინა



ცენტრალური საწვობი

„მ მ რ ზ ა“

თბილისში, გოლოვინის პროსპექტი, სახლი დობრუნასისა. ტელეფონი № 1036. (წლ.—ნ.—11)